ᲧᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

კომუნისტი

ᲡᲐᲥ. ᲙᲐ. ᲞᲐ. (ᲑᲝ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲝᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ.

№ 68 (5468) | ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 24 ᲛᲐᲠᲢᲘ 1939 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 10 ᲙᲐᲞ.

გუშინ თბილისის ფაბრიკა-ქარხნებსა, უმაღლეს სასწავლებლებსა და დაწესებულებებში უდიდესი პოლიტიკური აღმავლობის ნიშნით ჩატარდა ლენინ-სტალინის პარტიის **XVIII** ყრილობის მუშაობის დამთავრებისადმი მიძღვნილი მრავალრიცხოვანი მიტინგები.

მშრომელები ერთსულოვნად მიესალმებიან **XVIII** ყრილობის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილებებს, რომელნიც წარმოადგენენ 170-მილიონიანი საბჭოთა ხალხის ძლევამოსილ დროშას კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. საბჭოთა ხალხი გამოხატავს უსაზღვრო ერთგულებასა და სიყვარულს სტალინური ცენტრალური კომიტეტისადმი, სოციალიზმის ბრწყინვალე გამარჯვებათა ორგანიზატორისადმი — მშობლიური სტალინისადმი.

პარტიის **XVIII** ყრილობის გადაწყვეტილებანი—მასებში!

ის დღეები, როდესაც კრემლის დიდ სასახლეში ლენინ-სტალინის დიადი პარტიის XVIII ყრილობის სხდომები მიმდინარეობდა, საყოველთაო - სახალხო აღტყინების დღეებად გადაიქცა. მთელი პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი დაძაბული ყურადღებით, სიხარულის მღელვარებით ადევნებდა თვალს ყრილობის მუშაობას. ჩვენი ქვეყნის თვითეული მშრომელი, სამშობლოს თვითეული პატრიოტი ცდილობდა სანიმუშო მუშაობით, ბოლშევიკური საქმეებით გამოეხატა თავისი დამოკიდებულება ყრილობისადმი. ხალხის მრავალრიცხოვანი დელეგაციები, რომლებიც ყრილობაზე ცხადდე ბოდნენ, პარტიისადმი, ამხანაგ სტალინისადმი სიყვარულისა და ერთგულების მხურვალე გრძნობებს გამოსთქვამდნენ, დაპირებას იძლეოდნენ, რომ საბჭოთა ხალხი ყოველივე ღონეს იხმარებს ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის. ეს დაპირებანი მთელი დიდი საბჭოთა ხალხის სულიდან და გულიდან გამომდინარეობდნენ.

ხაბაროვსკში XVIII ყრილობის ღისანიშნავად გამართულ მიტინგზე ერთერთმა გამოსულმა, ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის სტახანოველმა ამბ. გორშკოვმა სთქვა: „დიდი სტალინის მიერ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე გაკეთებული მოხსენებით შეიარაღებულნი, ჩვენ, რომელთაც წინ გვაქვს მესამე ხუთწლედის დიად სამუშაოთა გეგმა, წავალთ წინ და ისევე ბრწყინვალედ შევასრულებთ მას, როგორც შევასრულეთ ორი წინანდელი სტალინური ხუთწლედის გეგმები. გაუმარჯოს ჩვენს შშობლიურსა და საყვარელს, ჩვენს ბრძენ მასწავლებელსა და ბელადს ამხანაგ სტალინს!“

ეს სიტყვები გამოხატავენ ყველა საბჭოთა პატრიოტის გრძნობებს!

ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო დარაზმული საბჭოთა ხალხი სიხარულით შრომობს კომუნისტური საზოგადოების ასაგებად, დიდი სიამაყით ახმარებს მთელ თავის ძალებს ლენინ-სტალინის საქმისათვის ბრძოლას. პარტიის XVIII ყრილობის გადაწყვეტილებანი — ეს არის კომუნიზმისაკენ რევოლუციის ლოკომოტივის შემდგომი მოძრაობის გრაფიკი. ყრილობის გადაწყვეტილებანი — ეს არის 170 მილიონი საბჭოთა ადამიანის საბრძოლო დროშა კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

ამხანაგ სტალინის მოხსენება, რომელიც ჩვენი ეპოქის უაღრესად შესანიშნავ დოკუმენტს და მოქმედების საბრძოლო პროგრამას წარმოადგენს, ჩვენი სამშობლოს მილიონობით მშრომელებს აღაფრთოვანებს. ამბ. მოლოტოვის მოხსენება, რომელმაც დაგვისახა კომუნიზმის შენებლობის დიადი გეგმა, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში შესასრულებელ გრანდიოზულ სამუშაოთა გეგმა, — ეს ის დოკუმენტია, რომელიც საფუძვლად დაედება ჩვენი ხალხის მთელ საქმიანობას. ამხ. ჟდანოვის მოხსენება ჩვენს პარტიას აიარაღებს მძლავრი ორგანიზაციული იარაღით, რომლის დახმარებითაც პარტია წარმატებით გადასჭრის მის წინაშე დასახულ ყველა ამოცანას. ყრილობამ სრული ერთსულოვნობით მოიწონა ამხანაგების სტალინის, მოლოტოვის, ჟდანოვის მოხსენებანი, სრული ერთსულოვნობით დაამტკიცა კომუნიზმის აშენების საბრძოლო პროგრამა, ჩვენი მშვენიერი სამშობლოს შემდგომი აყვავების პროგრამა.

ყრილობის დელეგატების ერთსულოვნობა გამოხატავს მთელი პარტიის მონოლიტურ შემჭიდროებას ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, მთელი საბჭოთა ხალხის შემჭიდროებას ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო.

საბჭოთა ხალხის რკინისებურ ერთიანობაში მდგომარეობს ჩვენი ურყევი ძალა, რომელსაც შეუძლია მტვრად აქციოს ყველა ეს ზღუდეები და დაბრკოლებანი, რომლებიც კომუნიზმისაკენ შემდგომი წინსვლის გზაზე გვეღობებიან!

ახლა ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი დიდი სამშობლოს მშრომელებმა ღრმად შეისწავლონ პარტიის XVIII ყრილობაზე გაკეთებული მოხსენებანი და ყრილობის გადაწყვეტილებანი, რომ თვითეულმა პარტიულმა და არაპარტიულმა ბოლშევიკმა, თვითეულმა პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელმა ყველა დასკვნა გამოიტანოს თავისთვის ამ უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტებიდან. ეს არის პირველი ეტაპი ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის გზაზე.

ამხანაგმა სტალინმა პარტიის XVIII ყრილობაზე სთქვა:

„აქსიომად უნდა მივიჩნიოთ, რომ რაც უფრო მაღალია სახელმწიფოებრივი და პარტიული მუშაობის რომელიც გნებავთ დარგის მუშაკთა პოლიტიკური დონე და მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობა, მით უფრო მაღალი და ნაყოფიერია თვითონ მუშაობა, მით უფრო ეფექტიურია მუშაობის შედეგები, და, პირიქით,—რაც უფრო დაბალია მუშაკთა პოლიტიკური დონე და მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობა, მით უფრო მოსალოდნელია მუშაობის ჩაშლა და ჩაფუშვა, მით უფრო მოსალოდნელია თვით მუშაკთა დაჭინება და მენამცეცე-საქმოსნებად გადაქცევა, მით უფრო მოსალოდნელია მათი გადაგვარება. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ, თუ ჩვენ შევძლებდით მუშაობის ყველა დარგის ჩვენი კადრების იდეოლოგიურად მომზადებას და მათ იმდენად გამობრძმედას პოლიტიკურად, რომ თავისუფლად შეეძლოთ ორიენტირება საშინაო და საერთაშორისო ვითარებაში, თუ ჩვენ შევძლებდით მათ გადაქცევას სავსებით მოწიფებულ მარქსისტ-ლენინელებად, რომელთაც შეეძლებათ ისე გადასწყვიტონ ქვეყნის ხელმძღვანელობის საკითხები, რომ სერიოზული შეცდომები არ დაუშვან,—ჩვენ ყველა საფუძველი გვექნებოდა უკვე გადაწყვეტილად ჩაგვეთვალა ყველა ჩვენი საკითხის ცხრა მეათედი“.

ამხანაგ სტალინის მიერ XVIII ყრილობაზე გაკეთებული მოხსენება მძლავრი პროექტორივით გვანათებს კომუნიზმისაკენ ჩვენი წინსვლის პერსპექტივებს. ყრილობაზე გაკეთებული მოხსენებანი და ყრილობის გადაწყვეტილებანი სახელმწიფო და პარტიული მუშაობის ყოველი დარგის მუშაკთა იდეოლოგიური მომზადების, პოლიტიკური დონისა და მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობის ამაღლების მძლავრი საშუალებაა. ამჟამად არ არსებობს პარტიული პროპაგანდის იმაზე უფრო მნიშვნელოვანი, უფრო პასუხსაგები ამოცანა, ვიდრე საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა საყოველთაო-სახალხო შესწავლის ორგანიზაცია. ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა—კომუნიზმის სრული გამარჯვების დაჩქარების მძლავრი საშუალებაა.

მთელი საბჭოთა ხალხი პარტიის XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებს იღებს როგორც საყოველთაო-სახალხო გრძნობების, ფიქრების, აზრების, მოლოდინისა და იმედების გამოხატულებას. პარტიული ორგანიზაციების წმინდათა-წმინდა მოვალეობაა შეიტანონ ბოლშევიკური სიმართლის მგზნებარე სიტყვა, შეიტანონ მასებში ყრილობის გადაწყვეტილებანი იმისათვის, რომ ჩვენი სამშობლოს თვითეულმა მშრომელმა ნათლად შეიგნოს ქვეყნის წინაშე დასახული დიადი ამოცანები.

ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდის საქმეში უდიდესი როლი ეკუთვნის საბჭოთა ინტელიგენციას. სოციალისტური ინტელიგენცია, რომელიც ხალხთან უალრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული, კომუნიზმის მშენებელთა მოწინავე რაზმს წარმოადგენს. საბჭოთა ინტელიგენცია—ეს ჩვენი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო კადრებია, ესენი არიან ექიმები, მასწავლებლები, ინჟინრები, მწერლები, ესენი არიან წითელი არმიის კადრები, ეს არის ხალხის ნაღები, საბჭოთა მიწა-წყლის მარილი.

ხარკოვის დაზგათმშენებელი ქარხნის უპარტიო ინჟინერ-კონსტრუქტორმა ამხ. მელნიკოვმა სთქვა: „ძნელია იმ უდიდესი სიმდიდრის შეფასება, რომელსაც ყრილობის მასალები წარმოადგენენ ჩვენთვის. განსაკუთრებით დამახსომდა ის არაჩვეულებრივი გულთბილობა, რომლითაც თავის მოხსენებაში ლაპარაკობდა ამხანაგი სტალინი საბჭოთა ინტელიგენციის შესახებ. არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს გადაბევრინოს საბჭოთა ინტელიგენციას იმ გზიდან, რომლითაც ოცი ლენინ-სტალინის პარტიას მიჰყავს“.

საბჭოთა ინტელიგენცია—ეს არის მილიონობით პროპაგანდისტი, მილიონობით აგიტატორი. ახლა საქმე იმაზეა მიმდგარი, რომ უნარიანად გამოვიყენოთ ეს დიადი არმია.

ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდის საქმეში უაღრესად მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ჩვენმა საბჭოთა პრესამ. ყრილობის გადაწყვეტილებანი, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელთა მოხსენებანი და გამოსვლები აზროვნებისა და გამოცდილების უდიდეს სიმდიდრეს შეიცავენ. ყრილობის ყველა დოკუმენტის ღრმად შესწავლა საშუალებას მოგვცემს სავსებით გამოვიყენოთ ეს ფასდაუდებელი სიმდიდრე.

ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა უნდა შეეხამოს ამ გადაწყვეტილებათა განუხრელად და მტკიცედ განხორციელებას.

ყრილობისათვის საყურადღებო პასუხი იქნება ბოლშევიკური საქმეები, ბოლშევიკური მუშაობა! საგაზაფხულო თესვა, რომელიც უმნიშვნელოვანეს სახალხო-სამეურნეო კამპანიას წარმოადგენს, 1939 წელს სანიმუშოდ უნდა ჩატარდეს. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრების მაღალი მოსავალი, — აი სოფლის პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკთა ღირსეული პასუხი. სოციალისტური ფაბრიკა-ქარხნების და ქარხნების მეორე ქვარტალის საწარმოო გეგმა მთლიანად და გადაჭარბებით უნდა შესრულდეს,—აი ქალაქის პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკთა ღირსეული პასუხი!

შესამე ხუთწლიანი გეგმის შესრულება სოციალისტური შეჯიბრების შემდგომ განვითარებას, შრომის ნაყოფიერების შემდგომ გადიდებას მოითხოვს. საჭიროა პარტიისა და მთელი ხალხის დაუცხრომელი ენერგია, მტკიცე ნებისყოფა იმისათვის, რომ რეალიზებულ იქნას მესამე ხუთწლედის დიადი გეგმები!

ყრილობის გადაწყვეტილებანი — ყოვლისმძლე იარაღია კომუნიზმისათვის ბრძოლაში. საბჭოთა ხალხი სრული მზადყოფნით იღებს ხელში ამ იარაღს, რათა უმოკლეს ვადაში მიაღწიოს ახალ ბრწყინვალე გამარჯვებებს.

პარტიის XVIII ყრილობის მიერ ნაჩვენები გზა, — ეს ცრის პირდაპირი გზა კომუნიზმისაკენ, მისი მოკაშკაშე მწვერვალებისაკენ. ჩვენ ყოველხაირად განვამტკიცებთ კომუნისტურ პარტიას — მებრძოლ ავანგარდს ხალხისას, ყოველნაირად განვამტკიცებთ ჩვენს სახელმწიფოს — დიად სსრ კავშირს, შეუბრალებლად გავუსწორდებით ტროცკისტ-ბუხარინელ ჯაშუშებსა და დივერსანტებს და განუხრელად ვივლით ამ გზით, ეკონომიურადაც დავეწევით და გავუსწრებთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს და სტალინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით მტკიცედ განვახორციელებთ სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლას.

„ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ“ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ, 23/III.

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ სვაღინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

მრავალათასიანი კოლექტივი თბილისის ორთქლმავალ - ვაგონ-სარემონტო ქარხნისა, რომელიც სიამაყით ატარებს თქვენს სახელს, თავისი უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების გრძნობებს გიძღვნით თქვენ საყოველთაო - სახალხო აღტყინების დღეებში, იმ დღეებში, როდესაც მთელი ჩვენი ქვეყანა შეუდგა ლენინ-სტალინის პარტიის XVIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესწავლას და ცხოვრებაში გატარებას.

შეიარაღებულნი თქვენი მოხსენებით — მოქმედების საბრძოლო პროგრამით, აღფრთოვანებული სტალინური სიბრძნით, კომუნიზმისაკენ, მთელი ჩვენი ბოლშევიკური პარტია და მთელი საბჭოთა ხალხი ახალი, ჯერ კიდევ არნახული გამარჯვებებისაკენ მიემართებიან.

ჩვენი ქარხნის კოლექტივი უდიდესი შემოქმედებითი ენტუზიაზმით და სიყვარულით ამზადებდა საწარმოო საჩუქრებს საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის აღსანიშნავად. 1939 წლის თებერვალში ჩვენმა ქარხანამ სსრ კავშირის ყველა ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანათა შორის პირველი ადგილი დაიკავა.

ჩვენს ქარხანაში სოციალისტური შეჯიბრება კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა, კიდევ უფრო მძლავრი გახდა ყრილობის ისტორიულ დღეებში, როდესაც ჩვენ ყველანი—მუშები, მოსამსახურეები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, დაძაბული ყურადღებითა და სიხარულით აღსავსე მღელვარებით თვალყურს ვადევნებდით ყრილობის მუშაობას.

თვითეული სიტყვა, რომელიც ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან მთელი მსოფლიოს გასაგონად გაისმოდა, ჩვენს გულში ნერგავდა ჩვენი სამშობლოს მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებებისათვის დიადი სიამაყის გრძნობას, თქვენდამი უდიდესი სიყვარულისა და მადლობის გრძნობებს, ჩვენო მშობლიურო იოსებ ბესარიონის-ძევ.

ბოლშევიკური პარტიის ყრილობამ მოგვცა საერთაშორისო მდგომარეობის ბრძნული სტალინური ანალიზი, ასახა მთელი მოწინავე და პროგრესიული კაცობრიობის ფიქრები და ზრახვები.

თქვენ, ამხანაგო სტალინ, გვასწავლით ჩვენ — არ მოვაშოროთ თვალი ჰორიზონტს, მტკიცედ ვიაროთ წინ კომუნიზმის გზით, კიდევ უფრო განვამტკიცოთ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავდაცვითი ძლიერება.

სიტყვას გაძლევთ თქვენ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, ვაჩვენოთ ჩვენს ქვეყანას სტახანოვური მუშაობის ნიმუშები, მთლიანად და გადაჭარბებით ღირსეულად შევასრულოთ დიად სამუშაოთა გეგმები, დასახული მესამე სტალინური ხუთწლედის, რომელიც გაარდაჭმნის ჩვენი ქარხნის საბეს და ბევრად გაადიდებს მის საწარმოო ძლიერებას.

ორმოც წელზე მეტი ხნის წინათ, როდესაც მუშათა რევოლუციური მოძრაობის განთიადი ამოდიოდა, თქვენ, ამხანაგო სტალინ, პირველმა დარაზმეთ ჩვენი ქარხნის მუშები, საქართველოს და კავკასიის მშრომელები თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. თქვენ დაგვრაზმეთ ჩვენ ლენინის დიადი დროშის ქვეშ და მიგვიყვანეთ ექსპლოატატორებზე და მუშათა კლასის მტრებზე საბოლოო გამარჯვებამდე.

ქართველი ხალხის ერთგული შვილის ამხანაგ ლ. პ. ბერიას მიერ ლენინურ-სტალინურ ტრადიციებზე აღზრდილნი, რევოლუციური ბრძოლის სტალინური სკოლაგამოვლილნი, ჩვენ ფხიზლად დავიცავთ ჩვენს სოციალისტურ დოვლათს სოციალიზმის მტრების მხრით ყოველგვარი ხელყოფისაგან.

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) სტალინურ ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს სოციალიზმის ქვეყნის დიდ მესაჭეს, ჩვენს ბრძენ მასა და მასწავლებელს, მშობლიურ, საყვარელ სტალინს!

ყრილობის მიერ ნაჩვენები გზა,—ეს არის პირდაპირი გზა კომუნიზმისაკენ

ბელაღის სახელობის ქარხანაში

გუშინ, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, შესდგა სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საბელადხელო მიტინგი, მიძღვნილი XVIII პარტყრილობის მუშაობის დამთავრებისადმი. მიტინგი გახსნა ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. წამალაიძემ.

ინფორმაციისათვის სიტყვა ეძლევა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელს ამხ. კ. ბარიგიანს.

ამხ. კ. ბარიგიანი აცნობებს მიტინგს, რომ მუშაობა დაამთავრა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ისტორიულმა ყრილობამ, რომელმაც დასახა სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის პროგრამა, უჩვენა მთელ მსოფლიოს ჩვენი ქვეყნის ძალისა და უძლეველობის სურათი, დასახა ჩვენი ქვეყნის მომავალი განვითარების გზები. ამხ. კ. ბარიგიანი ლაპარაკობს მსოფლიოს მშრომელთა იმედის, საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის დიდი სტალინის შესანიშნავი მოხსენების შესახებ, რომელსაც მილიონები შეისწავლიან.

ბელადის სახელის ხსენებას მიტინგი მქუხარე ტაშით უპასუხებს.

რამდენიმე წლის წინათ, სწორედ აქ, ამ ქარხანაში, ახალგაზრდა სტალინი რაზმავდა, აიარაღებდა მუშებს რევოლუციისათვის, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის. დღეს კი ამხანაგი სტალინი თავის მოხსენებით რაზმავს, აიარაღებს არა მარტო ამ ქარხნის მუშებს, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელთ კომუნიზმის აშენებისათვის, მისი საბოლოო გამარჯვებისათვის. ამ აზრს გამოხატავდნენ სიტყვებით გამოსული მუშა სტახანოველები.

— ჩვენი საამქრო, — ამბობს საელმავლო საამქროს უფროსის მოადგილე ამხ. მახპარაშვილი, — კიდევ უფრო კარგად აითვისებს ელმავლების შეკეთების საქმეს. ჩვენ მივალწევთ იმას, რომ ელმავლები მუშაობდნენ ისე,— როგორც კარგი საათის მექანიზმი, უთვარიოდ, წუსიერად.

— თებერვალში,—აცხადებს ძველი მუშა ამხ. სელიხოვი, — ჩვენი ქარხანა პირველ ადგილზე გამოვიდა ვეგმების შესრულების მხრივ. ჩვენ, მუშები, ქარხნის მთელი კოლექტივი, ვიბრძოლებთ, რათა პირველი კვარტალის გეგმაც გადაჭარბებით შევასრულოთ.

მიტინგმა მიიღო რეზოლუცია ამხ. კ. ბარიგიანის ინფორმაციის გამო. ხანგრძლივი ტაშის გრიალით იქნა მიღებული ხუთიათასიანი კოლექტივის მისალმება დიდი **სტალინისადმი**

ახალი საწარმოო აღმავლობით

თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საბელადხელო მიტინგზე, რომელსაც 600-ზე მეტი ქაცი დაესწრო, ამხანაგები მხურვალედ ლაპარაკობდნენ აღებულ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებაზე, საწარმოო რეკორდებზე, რომლებიც მათ XVIII პარტყრილობას მიუძღვნეს.

— ჩვენ, — ამბობს ქარხნის მოწინავე ადამიანი, სამჭედლო საამქროს ოსტატი ი. პაპუაშვილი,—განსაკუთრებით ვვიტაკებს ბელადის მოხსენების ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია მძიმე მრეწველობასა და ქერძოდ თუჯის წარმოების ზრდაზე. ეს პუნქტი ჩვენ გვავალებს კიდევ უფრო მეტად შევამჭიდროვოთ სამუშაო დრო, ვიმუშაოთ მთელი ენერგიით, რომ უახლოეს ხანში თვითეულ საბჭოთა მოქალაქეზე მოდიოდეს სამრეწველო პროდუქციის გაცილებით მეტი რაოდენობა, ვიდრე კაპიტალისტურ ქვეყნებში. ჩვენი საამქრო, რომელმაც ვადაზე ადრე და გადაჭარბებით გაანაღდა ნაკისრი ვალდებულება, ამჟამად წარმატებით იბრძვის წლიური გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის.

— ყრილობის მიმდინარეობის მონტენტში, — სთქვა საქარხნო-საფაბრიკო სკოლის ფრიადოსანმა სტუდენტმა მ. ივანოვმა, — ჩვენმა სკოლამ მოამზადა და ჩვენს წარმოებას მისცა 43 ახალგაზრდა სპეციალისტი, რომლებიც ახლა წარმატებით ასრულებენ აღებულ ვალდებულებებს.

— ამხანაგ სტალინის ისტორიულმა მოხსენებამ, — აცხადებს ინჟინერი პ. მირონენკო, — ჩვენ, ინჟინერ-ტექნიკოსები, ახალი ძალით აღგვაფრთოვანა. ჩვენ არ დავიშურებთ ჩვენს ძალღონეს იმისათვის, რომ 1939 წელიც ასეთივე მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით დავამთავროთ.

ხალხმრავალ მიტინგს მხურვალედ მიესალმნენ აგრეთვე ქარხნის წარჩინებული ადამიანები გ. სიფერთელაძე, პ. ცაგარეიშვილი, ნ. ორჯონიკიძე, მ. ნევზოროვი და სხვ.

მოპოვებულ გამარჯვებათა ნათელი სურათი

თბილისის ტრამვაისა და ტროლეიბუსების ტრესტის მუშა-მოსამსახურეთა გუშინ მუშაობის დამთავრების შემდეგ მოწვეული საბელადხელო მიტინგი, რომელიც საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მუშაობის დამთავრებას მიეძღვნა, გამარჯვებულთა ნამდვილ ზეიმს გამოხატავდა.

— საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობამ დახატა არა მარტო ორი ხუთწლედის მანძილზე მოპოვებულ გამარჯვებათა ნათელი სურათი, არამედ მოგვცა სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის ბრწყინვალე პროგრამა,—აცხადებს მიტინგზე სიტყვით გამოსული სტახანოველი მუშა ამხ. გ. სელეპანოვი.—სვებთან ერთად მეც ვიყავი ჩაბმული წინასაყრილობო სოციალისტურ შეჯიბრებაში. გავანაღდე რა აღებული საწარმოო ვალდებულება. ამით არ ვკმაყოფილდები და ვალდებულებად ვიღებ აპრილის გეგმა 200 პროცენტით შევასრულო,—დაასრულა სიტყვა ამხ. სელეპანოვმა.

— ტრამვაისა და ტროლეიბუსების საჰაერო ჭელის მუშაკებმა 100 პროცენტით გავანაღდეთ XVIII პარტყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით აღებული ვალდებულებები. ბოლშევიკურმა ყრილობამ სახელოვნად დაასრულა თავისი მუშაობა და ბოლშევიზმის დიადი საგანძური ახალი მარგალიტებით გაამდიდრა. გვახარებს რა ყრილობის მუშაობის წარმატებით დასრულება, ჭელის მუშაკები არ ვკმაყოფილდებით მოპოვებული წარმატებებით, ჩვენ გაორკეცებული ენერგიით ვიმუშავებთ და აპრილის საწარმოო გეგმის მაჩვენებლებს 200 პროცენტამდე ავიყვანთ,—ამბობს ამხ. ურიმძილაძე.

ასეთივე ენტუზიაზმითა და ღრმა სიხარულით ლაპარაკობდნენ მიტინგზე გამოსული სტახანოველები: შ. ვახტანგიშვილი, ი. კასრაძე, რ. ლაბარტყავა, ა. ჭობულაშვილი, ა. ულიხანოვი, ნ. ერშოვი, და სხვები.

შეჯიბრებაში იწვევენ ქუთაისის აბრეშუმის კომბინატს

თბილისის აბრეშუმსაჭიმავი ფაბრიკის საუბეიმოდ მორთულ კლუბში გუშინ საღამოს შესდგა ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა საზეიმო მიტინგი, მიძღვნილი ლენინ-სტალინის პარტიის XVIII ყრილობის მუშაობის დამთავრებისადმი.

მიტინგი გახსნა ფაბრიკის პარტკომის მდივანმა ამხ. ე. ძნელაძემ. მიტინგის მონაწილეებმა უყურადღებით მოისმინეს ფაბრიკის დირექტორის ამხ. კ. გეგუჩაძის ინფორმაცია საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მუშაობის დამთავრების შესახებ. მომხსენებელს არაერთხელ აწყვეტინებდნენ სიტყვას მქუხარე ხანგრძლივი ტაშით, როცა ის ახსენებდა სოციალიზმის გამარჯვებათა სულისჩამდგმელის და ორგანიზატორის დიდი სტალინის სახელს.

მიტინგზე სიტყვით გამოვიდა ამხ. ლ. მიკირტუმოვი (სამღებრო-საპატრუო საამქრო). ხანგრძლივმა ტაშმა დაჰფარა მისი სიტყვები, როცა მან განაცხადა, — ჩვენი საამქრო ვალდებულებას იღებს 1939 წლის საწარმოო დავალება გადაჭარბებით შეასრულოს 21 დეკემბრისათვის, ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის დაბადებიდან 60 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით. სტახანოველმა, საკავშირო რეკორდსმენმა ამხ. თ. მიქაძემ აიღო ვალდებულება შეინარჩუნოს საკავშირო რეკორდი და მიაღწიოს კიდევ ახალ წარმატებებს. — მე, როგორც ხარისხის დარგში მომუშავე, — ამბობს მიტინგზე ამხ. ლ. რატიანი, — ვალდებულებას ვიღებ 1939 წლის დასასრულისათვის პირველი ხარისხის მზა პროდუქცია ავიყვანო 85 პროცენტამდე. ამხ. რატიანის წინადადება იმის შესახებ, რომ 1939 წლის საწარმოო გეგმის გადაჭარბებით შესრულების მიზნით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვეულ იქნას ქუთაისის აბრეშუმკომბინატის კოლექტივი, მიტინგზე ერთხმად იქნა მიღებული. სიტყვით გამოვიდნენ აგრეთვე ამხ. ვ. თევდორაძე და ლ. ბაჭარაძე.

მიტინგზე საპასუხო სიტყვით გამოვიდა ქუთაისის აბრეშუმკომბინატის დირექტორი ამხ. ა. სურგულაძე. — ჩვენი კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა სახელით, — მიმართავს მიტინგს ამხ. სურგულაძე, — მთლიანად ვღებულობთ თქვენს გამოწვევას და ვკისრულობთ ვალდებულებას 1939 წლის საწარმოო დავალება შევასრულოთ გადაჭარბებით 21 დეკემბრისათვის, ბედნიერი და საამური ცხოვრების შემომქმედის დიდი სტალინის დაბადებიდან 60 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით.

მიღებულ რეზოლუციაში მიტინგის მონაწილენი ერთსულოვნად იწონებენ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებს.

უდიდესი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობით

26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა გუშინ საღამოს შეიკრიბნენ, რათა ერთხმად მიეღოთ გადაწყვეტილება, რომელიც ქარხნის საბეს და ბევრად გაადიდებს მის საწარმოო ძლიერებას.

ორმოც წელზე მეტი ხნის წინათ, როდესაც მუშათა რევოლუციური მოძრაობის განთიადი ამოდიოდა, თქვენ, ამხანაგო სტალინ, პირველმა დარაზმეთ ჩვენი ქარხნის მუშები, საქართველოს და კავკასიის მშრომელები თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. თქვენ დაგვრაზმეთ ჩვენ ლენინის დიადი დროშის ქვეშ და მიგვიყვანეთ ექსპლოატატორებზე და მუშათა კლასის მტრებზე საბოლოო გამარჯვებამდე.

ქართველი ხალხის ერთგული შვილის ამხანაგ ლ. პ. ბერიას მიერ ლენინურ-სტალინურ ტრადიციებზე აღზრდილნი, რევოლუციური ბრძოლის სტალინური სკოლაგამოვლილნი, ჩვენ ფხიზლად დავიცავთ ჩვენს სოციალისტურ დოვლათს სოციალიზმის მტრების მხრით ყოველგვარი ხელყოფისაგან.

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) სტალინურ ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს სოციალიზმის ქვეყნის დიდ მესაჭეს, ჩვენს ბრძენ მასა და მასწავლებელს, მშობლიურ, საყვარელ სტალინს!

უკანასკნელი ცნობები

გდგომარეობა ესპანეთის ცენტრალურ ზონაში

პარიზი, 23 მარტი (საკადილი). პარიზში არსებული ცნობებით, ამჟამად სწარმოებს მოლაპარაკება ესპანეთის რესპუბლიკის საქმის მოღალატე მიახა-კასადო-ბესტეიროსა, რომელთაც მადრიდში ძალა-უფლება ხელში ჩაიგდეს, და გენერალ ფრანკოს ხელისუფალთა შორის. პარიზში გუშინ იუწყებოდნენ, რომ მიახასა და ფრანკოს შორის, ალბათ, მიღწეულია შეთანხმება, რომლის მიხედვითაც „მარტი მშვიდობიან თვედ ითვლება“. ამავე წრეებში ჰფიქრობენ, რომ გენერალ ფრანკოსათვის ცენტრალური ზონის გადაცემის საკითხი გადაწყვეტილია.

მაგრამ გენერალ ფრანკოს ეს ხელს არ უშლის გაძლიერებით უმზადოს დამსჯელი ექსპედიციებისათვის. მალაგიდან გიბრალტარში მიღებული ცნობებით, გენერალი ფრანკო ამზადებს ფართო შეტევას ალმერიაზე.

ამავე დროს საფრანგეთის პრესაში ვრცელდება იტალიური წყაროებიდან გამომდინარე ცნობები იმის შესახებ, რომ გენერალმა ფრანკომ და უცხოელმა ინტერვენტებმა მადრიდის ფრონტზე, თითქოს, თავი მოუყარეს სამხედრო ძალებს 400 ათასი კაცის შემადგენლობით.

მიღებული ცნობებით, ესპანელი ხალხის დამოკიდებლობისათვის ბრძოლის საქმის მადრიდელმა მოღალატეებმა მადრიდში „გარდაქმნეს“ ესპანეთის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობა. ამ ხელმძღვანელობის სათავეში მათ ცხვალიერისტები და ტროცკისტები დაუყენეს.

გერმანია-ღიჟვის „შეთანხმ

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVIII ყრილობა

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმა (1938—1942 წწ.)

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის რეზოლუცია ამხ. ვ. მოლოტოვის მოხსენების გამო

(მიღებულია ერთხმაზე)

I. მეორე ხუთწლედის შედეგები და მესამე ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები

1. სსრ კავშირში მეორე ხუთწლიანი გეგმის (1933-1937 წწ.) წარმატებით შესრულების შედეგად გადაჭრილია მეორე ხუთწლედის **ძირითადი ისტორიული ამოცანა** — საბოლოოდ ლიკვიდირებულია ყველა ექსპლუატატორული კლასი, სავსებით მოსპობილია ის მიზეზები, რომელნიც წარმოშობენ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციას და საზოგადოების დაყოფას ექსპლუატატორებად და ექსპლუატირებულებად. გადაჭრილია სოციალისტური რევოლუციის უძნელესი ამოცანა: დამთავრებულია სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, საბოლოოდ განმტკიცდა საკოლმეურნეო წყობილება. ჩვენს ქვეყანაში „ძირითადად განხორციელებულია კომუნიზმის პირველი ფაზა—სოციალიზმი“ (სტალინი). სოციალიზმის გამარჯვება კანონმდებლობითი გზით განმტკიცებულია სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში.

საწარმოო ფონდების, წარმოების იარაღებისა და საწარმოო ნაგებობათა სოციალისტური — სახელმწიფო და კოოპერატიულ-საკოლმეურნეო—საკუთრება მეორე ხუთწლედის დასასრულისათვის ჩვენი ქვეყნის ყველა საწარმოო ფონდის 98,7 პროცენტს შეადგენდა. წარმოების სოციალისტური სისტემა განუყოფლად გაბატონდა სსრ კავშირის მთელს სახალხო მეურნეობაში: მრეწველობის საერთო პროდუქციის მხრივ იგი შეადგენდა 99,8 პროცენტს, სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის მხრივ, კოლმეურნეთა პირადი დამხმარე მეურნეობის ჩათვლით,—98,6 პროცენტს, საქონელბრუნვის მხრივ—100 პროცენტს.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში მომხდარი სოციალისტური გარდაქმნის შესაბამისად, შეიცვალა საბჭოთა საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურაც. სსრ კავშირის სოციალისტურ მეურნეობაში ჩაბმული მუშები და მოსამსახურეები 1937 წელს შეადგენდნენ ჩვენი ქვეყნის მთელი მოსახლეობის შემადგენლობის 34,7 პროცენტს; კოლმეურნე გლეხობა, კოოპერირებულ შინამრეწველებთან ერთად—55,5 პროცენტს; არმია, მოსწავლენი, პენსიონერები და სხვები—4,2 პროცენტს. ამგვარად, უკვე მაშინ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის 94,4 პროცენტი სოციალისტურ მეურნეობაში მუშაობდა ან მჭიდროდ იყო დაკავშირებული მასთან. მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი—ერთპიროვნული მეურნე გლეხები, არაკოოპერირებული შინამრეწველნი და ხელოსნები — მოსახლეობის მხოლოდ 5,6 პროცენტს შეადგენდა. მას შემდეგ მოსახლეობის ეს ნაწილი კიდევ უფრო შემცირდა.

ამჟამად სსრ კავშირის სოციალისტური საზოგადოება შესდგება ორი ერთმანეთისადმი მეგობრული კლასისაგან—მუშებისა და გლეხებისაგან, რომელთა შორის, აგრეთვე ამ კლასებსა და ინტელიგენციას შორის, ზღვარი იშლება, თანდათან ჰქრება. სსრ კავშირის მშრომელთა უდიდესი უმრავლესობა უკვე სოციალისტური საზოგადოების, კომუნიზმის აქტიური და შეგნებულ მშენებლებს წარმოადგენს. სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვებამ უზრუნველჰყო წინათ არსად ნახული შინაგანი მორალური და პოლიტიკური ერთიანობა ხალხისა, მშრომელთა მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დროშის ქვეშ და მათი ხელმძღვანელობით, ერთიანობა, რომელსაც შეუძლია არა მარტო ბოლო მოუღოს მტრული კლასების ნაშთებს, მათს უცხო გავლენას და უკუაგდოს ყოველგვარი მტრული თავდასხმა გარედან, არამედ აგრეთვე წარმოადგენს ჩვენი სამშობლოს შემდგომი ზრდისა და აყვავების საუკეთესო გარანტიას, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვების გარანტიას.

2. მეორე ხუთწლედის მთავარი და გადამწყვეტი **სამეურნეო ამოცანა**—სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის დამთავრება—ძირითადად შესრულებულია.

ძირფესვიანად განახლდა ჩვენი ქვეყნის საწარმოო-ტექნიკური აპარატი. 1937 წელს მრეწველობის მთელი პროდუქციის 80 პროცენტზე მეტი მიეღებულია ახალ-ახალ საწარმოთაგან, რომლებიც აგებული ან მთლიანად რეკონსტრუირებულია პირველი და მეორე ხუთწლედის განმავლობაში; სოფლის მეურნეობაში მოქმედი ყველა ტრაქტორისა და კომბაინის 90-მდე პროცენტი საბჭოთა მრეწველობის მიერ მეორე ხუთწლედშია გამოშვებული. მეორე ხუთწლედის დავალებანი მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში შესრულებულია ვადამდე. მეორე ხუთწლედი მრეწველობამ 1937 წლის 1 აპრილისათვის, ესე-იგი 4 წელსა და 3 თვეში შეასრულა, ამასთან მეორე ხუთწლედშიც განსაკუთრებით სწრაფად იზრდებოდა მძიმე მრეწველობა. მეორე ხუთწლედი რკინიგზის ტრანსპორტის ტვირთზიდვის დარგში გადაძეტებით შესრულებულია 4 წელიწადში. გადაჭარბებით შესრულებულია აგრეთვე მეორე ხუთწლედის უმნიშვნელოვანესი დავალებანი სოფლის მეურნეობის პროდუქციის დარგში: მარცვლეულისა და ბამბის დარგში.

1932 წელთან — პირველი ხუთწლედის უკანასკნელ წელთან — მედარებით მრეწველობის პროდუქცია 1937 წელს 120,6 პროცენტით გაიზარდა, მაშინ როდესაც მეორე ხუთწლიანი გეგმის დავალება იყო 114 პროცენტი მატება. მრეწველობის პროდუქციის მატების საშუალო-წლიური ტემპები მეორე ხუთწლედში, გეგმით დასახული 16,5 პროცენტის ნაცვლად, 17,1 პროცენტს შეადგენდა.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში გაიზარდნენ საწარმოო ძალები, რომელნიც წარმატებით ეუფლებიან ახალ ტექნიკას. მეორე ხუთწლედის უდიდეს გამარჯვებას წარმოადგენს საბჭოთა ინტელიგენციის მნიშვნელოვანი, ოცეულობით ადამიანის შევსება, სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგისათვის საჭირო კადრების შექმნა და სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ახალი ხელმძღვანელი მუშაკების ფართოდ დაწინაურება პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკებიდან.

ახალი ტექნიკის ათვისების დარგში მიღწეულმა წარმატებებმა მკაფიო გამოხატულება ჰპოვეს სტახანოვურ მოძრაობაში. სოციალისტური შეჯიბრებისა და მის უმაღლეს ფორმის — სტახანოვური მოძრაობის გაშლამ შრომის ნაყოფიერების მძლავრი აღმავლობა გამოიწვია მრეწველობაში და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში.

შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში მეორე ხუთწლედის განმავლობაში, გეგმით გათვალისწინებული 63 პროცენტის ნაცვლად, 82 პროცენტით გადიდდა, ხოლო მშენებლობის დარგში შრომის ნაყოფიერება ამ პერიოდში, მეორე ხუთწლედის გეგმით გათვალისწინებული 75 პროცენტის ნაცვლად, 83 პროცენტით გადიდდა. სტახანოვური მოძრაობის აღმავლობამ და სტახანოველთა სოციალისტურად შეგნებული შრომის მრავალრიცხოვანმა მესანიშნავემა მაგალითებმა და მათი შრომის ნაყოფიერების მაღალმა მაჩვენებლებმა შეჰქმნეს წანამძღვრები შრომის დისციპლინის გადაჭრით განმტკიცებისათვის ყველა ჩვენს საწარმოსა და დაწესებულებაში, რაც წარმოადგენს ყველა მშრომელის შრომის მაღალი ნაყოფიერების აუცილებელ პირობას და სსრ კავშირში კომუნიზმის ახალი მძლავრი ზრდის საწინდარს.

მეორე ხუთწლიანი გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად საჭირო იყო მოგვეწყო ბრძოლა მტრული კლასობრივი ელემენტების ნაშთებთან, მტრულ კლასობრივ გავლენასთან სახალხო მეურნეობაში, კულტურულ მშენებლობაში, მთელს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამისათვის საჭირო იყო, უწინარეს ყოვლისა, მოგვეწყო ბრძოლა სოციალისტური, სახელმწიფო და საკოლმეურნეო, საკუთრების დაცვისა და განმტკიცებისათვის, სახელმწიფო და საკოლმეურნეო დოვლათის ქურდებისა და მტაცებლების წინააღმდეგ, კლასობრივი მტრის ყველა და ყოველგვარ ხელშემწყობთა წინააღმდეგ და, განსაკუთრებით, ხალხის გამცემლების წინააღმდეგ, ტროცკისტ-ბუხარინელ და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტ ჯაშუშთა, დივერსანტთა და მავნებელთა სახით, რომლებიც დაუკავშირდნენ უცხოელთის დაზვერვებს, გახდნენ ფაშისტური ავხორციკების აგენტები. მათმა გამცემლურმა მუშაობამ სერიოზული ზიანი მიაყენა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებს. ამ ჯაშუშ-მავნებელთა ბანდების განადგურებამ გზა გაუკაფა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მეურნეობის შემდგომს და კიდევ უფრო მძლავრ წარმატებებს.

3. შესრულებულია აგრეთვე მეორე ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანა **მშრომელთა მატერიალურ-კულტურული დონის ამაღლებისა** სახალხო მოხმარების დონის ერთიორად და უფრო მეტად გადიდებასთან ერთად.

მეორე ხუთწლედის განმავლობაში მუშათა და მოსამსახურეთა რაოდენობა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში 17,6 პროცენტით გაიზარდა. მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო წლიური ხელფასი მთელს სახალხო მეურნეობაში 1937 წელს, 1932 წელთან შედარებით, გაიზარდა 113,5 პროცენტით, ესე-იგი ერთიორად და უფრო მეტად. მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასის ფონდი, მეორე ხუთწლედის გეგმით დაწესებული 55 პროცენტით ზრდის ნაცვლად, 151 პროცენტით გაიზარდა, ესე-იგი ორნახევარჯერ გადიდდა. სახელმწიფო ხარჯები ქალაქისა და სოფლის მუშათა და მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე (საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტით) — განათლებაზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, ფიზკულტურისა და სოციალურ უზრუნველყოფაზე, აგრეთვე ხარჯები სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ნაზით 1932 წელს გაღებული 8,3 მილიარდი მანეთიდან 1937 წელს 30,8 მილიარდ მანეთამდე ავიდა, ე. ი. 3.7-ჯერ გაიზარდა.

გარდა ამისა, სახელმწიფოს ხარჯები მშრომელთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე და კომუნალურ მეურნეობაზე მეორე ხუთწლედის განმავლობაში 16,3 მილიარდ მანეთს შეადგენდა. მეორე ხუთწლედის განმავლობაში მხიშვნელოვნად გაიზარდა კოლმეურნეთა საერთო შემოსავალი ოთხი წლის განმავლობაში (1934-1937) გაიზარდა 2,7-ჯერ და უფრო მეტად, ხოლო ფულადი შემოსავალი, რომელიც შრომადღეების მიხედვით ნაწილდება კოლმეურნეებს შორის, ამ წლების განმავლობაში 4,5-ჯერ გაიზარდა.

1937 წელს ფართო მოხმარების საგნების წარმოება, 1932 წელთან შედარებით, ერთიორად და უფრო მეტად გაიზარდა. მთელი რიგი მნიშვნელოვანი პროდუქტებისა და ფართო მოხმარების ნაწარმთა მხრივ მიღწეულია წარმოების არა მარტო ერთიორად, არამედ ერთისამადაც გადიდება. სახელმწიფო-კოოპერატიული საქონელბრუნვა მეორე ხუთწლედის განმავლობაში მხიშვნელოვნად გაიზარდა კოლმეურნეთა საერთო შემოსავალი ოთხი წლის განმავლობაში (1934-1937) გაიზარდა 2,7-ჯერ და უფრო მეტად, ხოლო ფულადი შემოსავალი, რომელიც შრომადღეების მიხედვით ნაწილდება კოლმეურნეებს შორის, ამ წლების განმავლობაში 4,5-ჯერ გაიზარდა.

1937 წელს ფართო მოხმარების საგნების წარმოება, 1932 წელთან შედარებით, ერთიორად და უფრო მეტად გაიზარდა. მთელი რიგი მნიშვნელოვანი პროდუქტებისა და ფართო მოხმარების ნაწარმთა მხრივ მიღწეულია წარმოების არა მარტო ერთიორად, არამედ ერთისამადაც გადიდება. სახელმწიფო-კოოპერატიული საქონელბრუნვა მეორე ხუთწლედის განმავლობაში მხიშვნელოვნად გაიზარდა კოლმეურნეთა საერთო შემოსავალი ოთხი წლის განმავლობაში (1934-1937) გაიზარდა 2,7-ჯერ და უფრო მეტად, ხოლო ფულადი შემოსავალი, რომელიც შრომადღეების მიხედვით ნაწილდება კოლმეურნეებს შორის, ამ წლების განმავლობაში 4,5-ჯერ გაიზარდა.

1937 წელს ფართო მოხმარების საგნების წარმოება, 1932 წელთან შედარებით, ერთიორად და უფრო მეტად გაიზარდა. მთელი რიგი მნიშვნელოვანი პროდუქტებისა და ფართო მოხმარების ნაწარმთა მხრივ მიღწეულია წარმოების არა მარტო ერთიორად, არამედ ერთისამადაც გადიდება. სახელმწიფო-კოოპერატიული საქონელბრუნვა მეორე ხუთწლედის განმავლობაში მხიშვნელოვნად გაიზარდა კოლმეურნეთა საერთო შემოსავალი ოთხი წლის განმავლობაში (1934-1937) გაიზარდა 2,7-ჯერ და უფრო მეტად, ხოლო ფულადი შემოსავალი, რომელიც შრომადღეების მიხედვით ნაწილდება კოლმეურნეებს შორის, ამ წლების განმავლობაში 4,5-ჯერ გაიზარდა.

მესამე ხუთწლედის ამ ძირითადი ამოცანების შესაბამისად, საჭიროა უზრუნველვყოთ ქალაქისა და სოფლის მზრდელი მთელი მასის კულტურული დონის მნიშვნელოვნად ამაღლება, დიდი ნაბიჯი გადავდგათ წინ ისეთ ისტორიულ საქმეში, როგორიც არის **მუშათა კლასის**, სოციალისტური საზოგადოების ამ მთავარსავე და ხელმძღვანელი ძალის, **კულტურულ - ტექნიკური დონის ამაღლება ინჟინერ-ტექნიკური შრომის მუშაკთა დონემდე.**

მრეწველობისა და მთელი სახალხო მეურნეობის გიგანტური ზრდა ძესამე ხუთწლედში და იმის აუცილებლობა, რომ უზრუნველვყოთ მისი შემდგომი შეუფერხებელი აღმავლობა საერთო-სახელმწიფო გეგმის შესაბამისად, განსაკუთრებით ისეთ პირობებში, როდესაც იზრდება სსრ კავშირის გარემომცველი იმპერიალიზმის აგრესიული ძალები, მოითხოვენ დიდი **სახელმწიფო რეზერვების შექმნას**, უწინარესყოვლისა სათბობის და ელექტროენერგიის დარგში და ზოგიერთ თავდაცვითს ხარმოებაში, აგრეთვე ტრანსპორტის განვითარების დარგში, ისე რომ ისინი სწორად იქნან გახლაგებულნი ჩვენი ქვეყნის სათანადო რაიონების მიხედვით, თავიდან იყოს აცილებული უნაყოფო და შორითი ტვირთზიდვა და ჩვენი ქვეყნის ძირითად ეკონომიურ კერები უზრუნველყოფილ იქნას ადგილობრივი რესურსების მაქსიმალური ათვისებით.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობა ამტკიცებს შეიდეგს დავალებებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმისას, რომელიც წარმოდგენილია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ და მიღებულია საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ.

II. წარმოების ზრდის გეგმა მესამე ხუთწლედში

1. დაწესდეს სსრ კავშირის მთელი მრეწველობის **პროდუქციის მოცულობა** 1942 წლისათვის, მესამე ხუთწლედის უკანასკნელი წლისათვის, 184 მილიარდი მანეთის რაოდენობით (1926-27 წლების ფასებით), 1937 წლის 95,5 მილიარდი მანეთის ნაცვლად, ესე-იგი მესამე ხუთწლედში სამრეწველო პროდუქციის ზრდა 92 პროცენტით.

მესამე ხუთწლედისათვის სსრ კავშირის სამრეწველო პროდუქციის ზრდის საშუალო - წლიური ტემპი დაწესდეს 14 პროცენტის რაოდენობით, ამასთან საწარმოო საშუალებათა წარმოების საშუალო-წლიური მატება დაწესდეს 15,7 პროცენტი, ხოლო მოხმარების საგნების წარმოების მატება—11,5 პროცენტი.

2. განისაზღვროს პროდუქციის შემდეგი ოდენობა **მრეწველობის** უმნიშვნელოვანეს **დარგებში** მესამე ხუთწლედის დასასრულისათვის, ესე-იგი 1942 წლისათვის.

	1942 წ.	1942 წ. პროცენტებით 1937 წლთან შედარებით
მთელი მრეწველობა (1926-27 წწ. ფასებით) მილიარდ მანეთობით	184	192
აქედან:		
წარმოების საშუალებათა წარმოება	114,5	207
მოხმარების საგანთა წარმოება	69,5	172
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება (1926-27 წწ. ფასებით) მილიარდ მანეთობით	63	229
მაგისტრალური ორთქლმავლები (პირობითი „ე“-ზე და „სუ“-ზე გადაყვანით) ცალობით	2.340	148
საქონლის ვაგონები ორღერძუა გამოანგარიშებით ათას ცალობით	120	203
ავტომობილები ათას ცალობით	400	200
ელექტროენერგია მილიარდ კილოვატსაათობით .	75	206
ქვანახშირი მილიონ ტონობით	243	190
გაზიანი ნედლი ნავთი მილიონ ტონობით . .	54	177
ტორფი მილიონ ტონობით	49	206
თუჯი მილიონ ტონობით	22	152
ფოლადი მილიონ ტონობით	28	158
ნაგლინი მილიონ ტონობით	21	162
აქედან ხარისხოვანი მილიონ ტონობით . .	5	199
ქიმიური მრეწველობა (1926-27 წლის ფასებით) მილიარდ მანეთობით	14	237
ცემენტი მილიონ ტონობით	11	202
მარგი მერქნის გამოზიდვა მილიონ კუბ. მეტრობით	200	180
დახერხილი მასალა მილიონ კუბ. მეტრობით .	45	156
ქაღალდი ათას ტონობით	1.500	180
ბამბეული ქსოვილები მილიონ მეტრობით . .	4.900	142
შალეული ქსოვილები მილიონ მეტრობით . .	177	167
ტყავის ფეხსაცმელი მილიონ წყვილი . .	258	143
შაქარი—ფხვნილი ათას ტონობით	3.500	144
კონსერვი (კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატი, თევზის მრეწველობის სახალხო კომისარიატი, ხორცის მრეწველობის სახალხო კომისარიატი) მილიონობით ქილა	1.800	206
ლითონის კონსტრუქციები ათას ტონობით .	900	161

3. **მანქანათმშენებლობის** ყოველნაირად განვითარებით, რომელსაც წამყვანი როლი ეკუთვნის სახალხო მეურნეობის ტექნიკურ შეიარაღებაში, უზრუნველყოფილ იქნას მოწინავე ტექნიკის დანერგვა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და სსრ კავშირის თავდაცვის ყველა სახისათვის, სახელმწიფოს ოანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად. ვადიდებულ მანქანათმშენებლობის პროდუქცია მესამე ხუთწლიდის დასასრულისათვის 2,3-ჯერ, ესე-იგი მრეწველობის საერთო ზრდაზე გაცილებით უფრო მეტად. უზრუნველყოფილ იქნას ყოველგვარი სახის დაზგების წარმოება, ამასთან გადაჭრით გადიდდეს მაღალსაფიერი და სპეციალური დაზგების, განსაკუთრებით ავტომატებისა და ნახევრადავტომატების, ვადრითი წონა. გადიდებულ იქნას ლითონსაჭრელი დაზგების გამოშვება 70 ათას ცალამდე 1942 წელს, ნაცვლად 1937 წლის 35 ათასი ცალისა, ამასთან დაზგების ასორტიმენტი აყვანილ იქნას 800 ტიპზომამდე.

ყოველნაირად განვითარებულ იქნას გაცვეთილი სადაზგო მოწყობილობის აღდგენა და მოდერნიზაცია. ერთიორად გადიდდეს ინსტრუმენტის, განსაკუთრებით, ნორმალიზებული ინსტრუმენტის გამოშვება. გადიდდეს პნევმატიკური, ელექტრული და მთელი რიგი სხვა სახეების კვალიფიციური ინსტრუმენტის გამოშვება.

დაძლეული იქნას ენერგეტიკული ნაწილობრივი ჩამორჩენა მანქანათმშენებლობის შედარებითი ჩამორჩენა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის სულ უფროდაუფრო ზრდადი მოთხოვნილებისაგან. გადიდდეს ორთქლის ტურბინების გამოშვება 1942 წელს, 1937 წელთან შედარებით, 5,9-ჯერ, ორთქლის ქვაბებისა—5,2-ჯერ. ყოველნაირად გაფართოვდეს და გადიდდეს 12-ათასკილოვატიანი და ნაკლები სიმძლავრის საშუალო და პატარა ტურბინების ხვედრითი წონა წარმოებაში. ათვისებულ იქნას მძლავრი ჰიდროტურბინების წარმოება კუიბიშევის ჰიდროკვანძისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ლოკომობილების, სტაციონარული და გემის დიზელების, პირველ რიგში სწრაფმავალი გემების დიზელებისა, აგრეთვე გაზით მომუშავე ძრავების წარმოების განვითარებას. გაზგენერატორებზე იქნას გადაყვანილი ყველა მანქანა-ტყის დამზადებაში, აგრეთვე სოფლის მეურნეობის სატრაქტორო პარკისა და საავტომობილო პარკის მნიშვნელოვანი ნაწილი.

დაძლეული იქნას ჩამორჩენა სამშენებლო და საგზაო მანქანებისა და ექსკავატორების წარმოებაში, აგრეთვე სამშენებლო ინსტრუმენტის გამოშვებაში. ყოველნაირად განვითარდეს ეფსკავატორების, მიწახაპებისა და ჰიდრომექანიზმების წარმოება.

დაჩქარდეს რთული აპარატურისა და მოწყობილობის წარმოება ქიმიური მრეწველობისათვის და სავსებით უზრუნველყოფილ იქნას მისი ძლავრი ზრდა. ათვისებულ იქნას ახალი, ტექნიკურად სრულყოფილი, სწრაფსვლიანი ტიპების სართავი და საქსოვი მანქანების, დაზგებისა და მოწყობილობის წარმოება საფეიქრო, სატრიკოტაჟო და ფეხსაცმლის ფაბრიკებისათვის. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ისეთი მანქანების ათვისებას, რომლებიც საწარმოო პროცესების ავტომატიზებას ახდენენ. ლიკვიდირებულ იქნას სართავი მოწყობილობის წარმოების ჩამორჩენა, ამასთან ხუთწლედის დასასრულისათვის 3-ჯერ იქნას გადიდებული ვატერების გამოშვება (თავდაცვითი მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატის ხაზით). კიდევ უფრო განვითარდეს კვების მანქანათმშენებლობა, ამასთან უზრუნველყოფილ იქნას განსაკუთრებით ჩამოსასხმელ და შესაფუთავი მანქანათა წარმოების ზრდა. უზრუნველყოფილ იქნას საზღვაო და საკვანო ფლოტი — ყველა სახის თანამედროვე გემებით და შეიქმნას ისეთი საწარმოო სიმძლავრენი გემთმშენებლობისათვის, რაც საკმარისი იქნება იმისათვის, რომ ჩვენს ქვეყანაში დამზადებული გემებით უზრუნველყოფილ იქნას სსრ კავშირის საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტის ზრდადი მოთხოვნილებანი. გაფართოვდეს ავტომატური და ტელემექანიკური მართვის აპარატურის წარმოება. გაფართოვდეს მეტალურგიული მოწყობილობის წარმოება შავი და ფერადი მეტალურგიისათვის, აგრეთვე შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისათვის მოწყობილობის, კერძოდ ამწე-სატრანსპორტო და სატვირთავ მანქანათა წარმოება.

4. ყოველნაირად განვითარდეს **ქვანახშირისა და ნავთის** მრეწველობის დარგები, რომლებიც ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის სათბობის ბაზას წარმოადგენენ. განვითარდეს ქვანახშირის ამოღება იმ დონემდე, რაც უზრუნველჰყოფს არა მარტო ქვეყნის მოძდინარე მოთხოვნილებათა დაფარვას, არამედ საგრეურნეო მარაგისა და სახელმწიფო რეზერვების შექმნასაც. უზრუნველყოფილ იქნას ქვანახშირის ამოღების ყველაზე მაღალი ტემპები ურალის ქვანახშირის რაიონებში, პოდმოსკოვიეს ბასეინში, შორეულ-აღმოსავლეთსა და შუა აზიაში და გადიდდეს მათში ქვანახშირის ამოღება მესამე ხუთწლედში: ურალზე—3,1-ჯერ, პოდმოსკოვიეს ბასეინში — 3,7-ჯერ, შორეულ-აღმოსავლეთში—2,7-ჯერ და შუა აზიაში—4,4-ჯერ. გადიდებულ იქნას მურა ნახშირის ამოღება მესამე ხუთწლიანი გეგმის პერიოდში 2,6-ჯერ. შეიქმნას ადგილობრივი ნახშირის ამოღების ახალი ბაზები ჩვენი ქვეყნის ყველა რაიონში, სადაც მოიპოვება თუნდაც არადიდი საბადოები, და მათი განვითარების მიხედვით ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები, კომუნალური საწარმოები, სკოლები, საავადმყოფოები და დაწესებულებანი გადაყვანილ იქნას შორით მოტანილ სათბობის ნაცვლად ადგილობრივ სათბობზე. დამთავრდეს ქვანახშირის ამოღების კომპლექსური მექანიზაცია ჩვენი ქვეყნის ქვანახშირის ყველა რაიონში და მოეწყოს ქვანახშირის ამოღება ქვანახშირის ყველა რაიონში ციკლური შუშაობის გრაფიკის—მაღაროელთა სტახანოვური შრომის ნაყოფიერების აღ საფუძვლის—დანერგვის ნიადაგზე.

შეიქმნას ვოლგასა და ურალს შუა მდებარე რაიონში ნავთის ახალი ბაზა—„მეორე ბაქო“. ნავთის ამოღებისა და ნავთის გადამუშავების პროგრამა უზრუნველყოფილ იქნას გეოლოგიურ-საძიებელ სამუშაოთა სწრაფი განვითარებით, ნავთის მრეწველობის ყველა დარგში მაღალი ტექნიკის დანერგვით.

ფართოდ უნდა გაეცნელდეს სატურბინო ბურღვა, წნევით ბურღვა, დახურული ექსპლოატაცია, გაზის დაწერითა და მისგან ბენზინის აძოლებით, და ნავთის გადაწუშავება ქიმიური მეთოდების გამოყენება. ყოველნაირად გადიდდეს მაღალოქტანოვური საწვავი მასალისა და მაღალხარისხოვანი ზეთიეულის წარმოება. აიგოს ნავთსადენებისა და ნავთის ბაზების ქსელი, განსაკუთრებით სსრ კავშირის აღმოსავლეთ რაიონებში.

გაიშალოს ტორფის მრეწველობა ადგილებზე, განსაკუთრებით ისეთ ოლქებში, როგორიც არის ივახოვოს ოლქი, ქვანახშირის შორ მანძილზე გადაზიდვის შემცირების მიზნით, გადიდდეს ტორფის ბრიკეტებისა და გაუწყლოებელი ტორფის წარმოება. აგრეთვე ყოველნაირად გაძლიერდეს ფრქვალების მოპოვება და გამოყენება.

ფართოდ გაიშალოს ყოველგვარი სახის სათბობის გაზიფიკაცია და ქვანახშირის მიწისქვეშა გაზიფიკაცია, ამასთან მესამე ხუთწლედში ქვანახშირის მიწისქვეშა გაზიფიკაცია გადაქცეულ იქნას მრეწველობის დამოუკიდებელ დარგად. მესამე ხუთწლედში 3,5-ჯერ გადიდდეს გაზის მოპოვება ნავთისა და წნისდა გაზის საბადოებიდან, აგრეთვე ქვანახშირის მიწისქვეშა გაზიფიკაციის ხარჯზე. აიგოს და საექსპლოატაციოდ გადაცემულ იქნას მიწისქვეშა გაზიფიკაციის მთელი რიგი სამრეწველო სადგურები დონბასში, პოდმოსკოვიეს ბასეინში და სსრ კავშირის აღმოსავლეთ ნაწილში, ამასთან მიღებული გაზი გამოყენებულ იქნას ენერგეტიკისათვის, ქიმიური მრეწველობისა და კომუნალური მეურნეობისათვის. დიდ ქალაქებში, პირველ რიგში. მოსკოსა და ლენინგრადში, შეშით გათბობა შეიცვალოს გაზით და აგრეთვე ორთქლით გათბობით ადგილობრივი სათბობის ბაზაზე. განვითარდეს კოქსისა და ბრძენდის გაზების გამოყენება მაგისტრალური გაზსადენების ქსელის მშენებლობის გზით, პირველ რიგში დონბასში.

შეიქმნას ხელოვნური თხევადი სათბობის მრეწველობა მაგარი სათბობის ჰიდრირების საფუძველზე, პირველ რიგში აღმოსავლეთში, აგრეთვე გაზიდან მიღებული თხევადი სათბობის სინთეზის საფუძველზე.

5. **ელექტრომეურნეობის** დარგში აღმოფხვრილ იქნას მრეწველობის დიდ ზრდასა და ელექტროსადგურების სიმძლავრის არასაკმაო გადი-

(გაგრძელება იხ. მე-3 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVIII ყრილობა

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმა (1938—1942 წ. წ.)

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის რეზოლუცია ამხ. ვ. მოლოტოვის მოხსენების გამო

დებას შორის არსებული ნაწილობრივი დისპროპორცია იმ ანგარიშით, რომ ელექტროსადგურების ზრდა წინ უსწრებდეს არა მარტო მრეწველობის ზრდას, არამედ უზრუნველჰყოფდეს კიდეც ელექტროსიმძლავრეთა მნიშვნელოვანი რეზერვების შექმნას, ამის შესაბამისად 2,1-ჯერ გადიდდეს ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრე ხუთწლედის განმავლობაში. თბოელექტროსადგურების მშენებლობაში მოხდეს გადასვლა პატარა და საშუალო—25 ათას და უფრო ნაკლებ კილოვატიან ელექტროსადგურებზე. დაგმობილ იქნას, როგორც არასწორი და სახალხო მეურნეობათვის საზიანო, დიდი ელექტროსადგურებით გატაცება მცირე და საშუალო სადგურების საზიანოდ. რაიონული თბოელექტროსადგურების სიმძლავრე ყოველ ცალკეულ შემთხვევაში დაამტკიცოს მთავრობამ. ფართოდ დაინერგოს უახლესი ენერგეტიკული ტექნიკა, მაღალი წნევა და ორთქლის გადახურება, უახლესი სათბობიკაცი ტურბინების გაწოყენება და ელექტროსადგურებისა და საქსელე მეურნეობის ძირითადი საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია.

მრეწველობის ყველა საწარმოს, კომუნალური მეურნეობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს სათბობისა და ელექტროენერგიის ეკონომია.

6. გადაიქცეს **ქიმიური მრეწველობა** მრეწველობის ერთერთ წამყვან დარგად იმ დარგთა შორის, რომლებიც სავსებით აკმაყოფილებენ სახალხო მეურნეობისა და ქვეყნის თავდაცვის მოთხოვნილებებს. მესამე ხუთწლედი ქიმიის ხუთწლედია. ყრილობა ადგენს გადიდდეს ქიმიური მრეწველობის პროდუქცია 2,4-ჯერ, ესე იგი ბევრი მრეწველობის ზრდაზე გაცილებით უფრო მეტად. მნიშვნელოვნად გადიდდეს გოგირდისა და აზოტის მჟავის, სინთეტიკური ამიაკის, ხელოვნური ბოჭკოს და პლასტიკური მასების წარმოება. შეიქმნას ორგანული სინთეზის (სინთეტიკური სპირტი, ძმრის მჟავა და სხვა) ახალი დარგები ნავთის გადამუშავების, კაუჩუკის, კოჭისა და ბუნებრივი გაზების წარმოების თანანაწარმთა გაწოყენების საფუძველზე. უზრუნველყოფილ იქნას ქიმიური მრეწველობის ყველა დარგში მტკიცე ტექნოლოგიური რეჟიმი და უახლესი მიღწევების განუხრელად დანერგვა: ქიმიური წარმოების ინტენსიფიკაცია, პერიოდული პროცესიდან გადასვლა განუწყვეტელზე, მაღალი წნევის გამოყენება, ელექტროქიმიური მეთოდების განვითარება. მექანიზებულ იქნას შრომტევადი სამუშაოები ქიმიურ მრეწველობაში, განვითარდეს წარმოების ავტომატიზაცია.

7. **შავი მეტალურგიის** დარგში, რომლის განვითარებაც ბევრად განსაზღვრავს მთელი მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის ზრდას და ამიტომ მოითხოვს განსაკუთრებულ მუდმივ მზრუნველობას საწარმოო სიმძლავრეთა გადიდებაზე, მიღწეულ იქნას წარმოების განუხრელი და სერიოზული აღმავლობა. მესამე ხუთწლედი სპეციალური ფოლადების ხუთწლედია. ყრილობა ადგენს ერთი-ორად გადიდდეს ხარისხოვანი ნაგლინის გამოშვება და უზრუნველყოფილ იქნას სპეციალური ფოლადების: მაგარი შენადნობის, ჟანგმოუკიდებელი, მჟავისა და სიმბურვალის გამძლე, ინსტრუმენტალური, პრეცეზიონული, სატრანსფორმატორო, აგრეთვე ფეროშენადნობთა გამოშვების მკვეთრი გადიდება. ფართოდ გაიშალოს ხის ნახშირით თუჯის გამოდნობა გოგირდისა და ფოსფორისაგან გაწმენდილი მადნეულისაგან. ლიკვიდირებულ იქნას საგლინავი დაზგების მავნებელური სპეციალიზაცია, რაც იწვევს ლითონის შემხვედრ და შორეულ გადაზიდვას, და უზრუნველყოფილ იქნას ქვეყნის ძირითად მეტალურგიულ ბაზებში ლითონის მთელი იმ ხარისხების გაგლინვა, რომლებზედაც ყველაზე მეტი მოთხოვნილებაა. ათვისებულ იქნას სამრეწველო მასშტაბით ლითონის უზოდო გაგლინვა, ფართოდ დაინერგოს საბრძოდო წარმოებაში უანგბადით შებერვა; ნოეწყოს სატრანსფორმატორო სადინამო რკინის წარმოების მეორე ბაზა; ათვისებულ იქნას და განვითარდეს საბურთულ-საკისარო და სხვა სახის მაღალხარისხოვანი ფოლადის გამოდნობა მარტენის ღუმელებში. ათვისებული იქნას და მაქსიმალურად დაინერგოს ნაკლებდეგირებული ფოლადების წარმოება. პირველ რიგში ხალიოვისა და სხვა სპბადოების სამადნო ბუნებრივად ლეგირებული თუჯებისაგან. განვითარდეს თუჯისა და ფოლადის ნაგლის წარმოება ცენტრიდანული სხმის გზით. ურალსა და ციმბირში განვითარდეს მარგანეცის მადნის მოპოვება იმ რაოდენობამდე, რაც საშუალებას მოაცემს შეეწყვეტოთ ამ მადნის შეტანა ზიდვა სამხრეთიდან. შორეულაღმოსავლეთში შეიქმნას ახალი მეტალურგიული ბაზა სრული მეტალურგიული ციკლითურთ მანქანათმშენებლობის ყველა მოთხოვნილების ზუზრუნველსაყოფად ადგილზე. ხუთწლედის განმავლობაში გადიდდეს საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთის რაიონების ხვედრითი წონა თუჯის გამოდნობაში ჩვენს ქვეყანაში საერთო გამოდნობის 28-დან 35 პროცენტამდე.

8. გადიდდეს **ფერად ლითონთა** წარმოება იმ რაოდენობამდე, რაც უზრუნველჰყოფს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და თავდაცვის სწრაფ მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. 1942 წელს 1937 წელთან შედარებით შავი სპილენძის გამოდნობა გადიდდეს 2,8-ჯერ, ალუმინის გამოდნობა (სილუმინის ჩათვლით) — არანაკლებ, ვიდრე 4-ჯერ. უზრუნველყოფილ იქნას ტყვიის, თუთიის, ნიკელის, კალის, მაგნიუმის, ვოლფრამისა, მოლიბდენისა და სურმის წარმოების ძალიან ტემპები. ფართოდ დაინერგოს ფერად ლითოთა შემცველნი მანქანათმშენებლობის ყველა დარგში. წარმოებულ იქნას გადამწყვეტი ბრძოლა ფერადი და შავი ლითონების ეკონომიისათვის როგორც დანაკარგების შემცირების ხარჯზე მოპოვების, გაუხვებისა და გამოდნობის დროს, ისე ნაწარმის ერთეულზე ლითონის ხარჯვის ნორმების შემცირების, დამამუშავებელი ქარხნების ყველა სახის ნარჩენთა რაციონალური გამოყენებისა და მშენებლობისათვის მარკირებული ფოლადის გამოშვების ხარჯზე.

ფართოდ განვითარდეს წარმოება მჟავისა და სიმხურვალის გაძლეთ მინანქრისა შავი ლითონის აპარატურის მოსამინანქრებლად და მათ მიერ ფერადი ლითონების შესაცვლელად.

9. ბოლო მოეღოს **სატყეო მრეწველობის** ჩამორჩენას. განხორციელდეს ხე-ტყის დამზადების ყველა საწარმოო პროცესის ფართო საკომპლექსო მექანიზაცია. რაც შეიძლება ფართოდ იქნას გამოყენებული გაზგენერატორები და საორთქლე ძრავები. მაქსიმალურად იქნას გამოყენებული ზამთრობით ხე-ტყის დამზადების სეზონური უპირატესობანი და ამავე დროს უზრუნველყოფილ იქნას მერქნის დამზადება მთელი წლის განმავლობაში. სატყეო ბირჟებზე შეიქმნას ბუნებრივი ხნობის ხე-ტყის დიდი მარაგი. ყოველმხრივ განვითარდეს ქაღალდისა და სატყეო ქიმიური მრეწველობა, და აგრეთვე—სპირტის წარმოება ნახერხისაგან და ქაღალდის მრეწველობის ნარჩენისაგან.

10. ყოველმხრივ გადიდდეს წარმოება სამშენებლო დეტალებისა, განსაკუთრებით ხის, ბეტონის რკინაბეტონისა და თაბაშირის დეტალებისა და აგრეთვე ლითონის კონსტრუქციებისა. უზრუნველყოფილ იქნას უფრო მაღალი ტემპები ხარისხოვანი ცეცენტის, სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობის, გასაწყობი და მოსაპირკეთებელი მასალის წარმოებისა და აგრეთვე არაწვადისეული და არალითონური მთამადნეულის მოპოვება, განსაკუთრებით აზბესტის მოპოვება და აზბესტის ნაწარმთა წარმოება.

11. ყრილობა ადგენს ფართო მოხმარების საგნების წარმოება მესამე ხუთწლედში გადიდდეს 1,7-ჯერ.

მსუბუქ მრეწველობაში მთლიანად გამოყენებულ იქნას ნებდეგულის გაზრდილი რესურსები წარმოების გასადიდებლად, ასორტიმენტის გასაფართოებლად და პროდუქციის ხარისხის ასამაღლებლად, ამავე დროს შეიქმნას ნედლეულის საჭირო ბარაგი. ლიკვიდირებულ იქნას დისპროპორცია მოსამზადებელ და სართავ საამქროთა შორის და აგრეთვე ჭრისა და ჩამორჩენილ რთვას შორის. ტექნიკურად გაუმჯობესდეს მთელი საფეიქრო და განსაკუთრებით ბამბეულის მრეწველობის მოწყობილობა, დაინერგოს მაღალი სისწრაფისა და ერთპროცესიანი საჩეჩი და სხვა უფრო გაუმჯობესებული მანქანები. მაღალი გაწევის ხელსაწყოები, ავტომატური საქსოვი დაზგები, ტექნოლოგიური პროცესების სარეგულირებელი და საკონტროლო აპარატურა.

კვების მრეწველობაში მნიშვნელოვნად გაფართოვდეს პროდუქციის ასორტიმენტი, განსაკუთრებით უმაღლესი და პირველი ხარისხებისა.

გადიდდეს რძის, ბოსტნეულისა და ხილის კონსერვების წარმოება. ტომატისა და სხვა სახის წვნის გამოშვება, გაყინული ბოსტნეულისა და ხილის წარმოება, ნაყინის საფარიკო წარმოება, ლუდის, ღვინოებისა და მათ შორის შამპანური ღვინის წარმოება.

გადაჭრით იქნას დაძლეული თევზის მრეწველობის ჩამორჩენა. გადიდდეს თევზის ჭერა ყველა ბასეინში, განსაკუთრებით მურმანსკისა და შორეულ-აღმოსავლეთის ბასეინში, აგრეთვე გადიდდეს თევზის გადამუშავება და თევზის კონსერვების გამოშვება. ადგილობრივად ორგანიზაციებმა ყოველმხრივ განვითარონ შიდასაოლქო თევზის მეურნეობა ადგილობრივი მნიშვნელობის წყალსატევებში (მდინარეებსა, გუბე).

12. ყოველნაირად განვითარდეს **ადგილობრივი მრეწველობა და სარეწაო კოოპერაცია,** რომლებიც მშრომელთა მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დიდ წყაროს წარმოადგენენ. მათი ზრდის ახლანდელი ტემპის არასაკმარისობის გამო. მიღწეულ იქნას ხუთი წლის განმავლობაში ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის პროდუქციის ერთი-ორად მაინც, აგრეთვე ასორტიმენტის (განსაკუთრებით ავეჯის, ჭურჭლისა და სხვა საოჯახო საგნების) გაფართოება და გაუმჯობესება. ფართო მოხმარების საგნების გამომუშავების გადიდებასთან ერთად, რაც ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის ძირითად ამოცანას წარმოადგენს, საჭიროა ყოველ მხრივ განვითარდეს ადგილობრივი სახის სათბობი მასალის მოპოვება და სამშენებლო მასალის წარმოება.

გაგრძელება

ზ) დამთავრდეს მესამე ხუთწლედში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა **კომპლექსური მექანიზაცია.** უზრუნველყოფილ იქნას სოფლის ჰეურნეობის საჭიროების სრული დაკმაყოფილება მისაბმელი ინვენტარით ტრაქტორების პარკისა და მათი ტიპების შესაბამისად. ფართოდ დაინერგოს მოწინავე აგროტექნიკა და მეცნიერულად გამოყენებულ იქნას სოფლის მეურნეობის მოწინავეთა დიდი პრაქტიკული გამოცდილება.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მეცხოველეობის შრომატევად პროცესთა მექანიზაციას საბჭოთა მეურნეობებსა და საკოლმეურნეო ფერმებში. ფართოდ გაშალოს კოლმეურნეობებში წვრილ ჰიდროსადგურთა, ქარის ძალით მომუშავე და გაზგენერატორული ელექტროდანადგარების მშენებლობა ადგილობრივ სათბობის საფუძველზე.

გადიდდეს სოფლის მეურნეობის მცენარეთა მავნებლებთან და დაავადებებთან საბრძოლველი მანქანებისა და აპარატურის წარმოება.

გადიდდეს საცხენო მისაბმელი ინვენტარისა და განსაკუთრებით სატრანსპორტო ინვენტარის დამზადება.

უზრუნველყოფილ იქნას უმარცვლო მარცვლოსაწმენდი მანქანების წარმოების გაფართოება.

თ) ათვისებულ იქნას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ორგანულ და მინერალურ სასუქთა მართებული სისტემის გამოყენება, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ნაკელისა და სხვა ადგილობრივ სასუქთა რაციონალურად შენახვასა და გამოყენებას, აღმოიფხვრას მინერალური სასუქების დანაკარგები. ფართოდ დაინერგოს პრაქტიკაში ეწეროვანი ნიადაგის გაკირიანება და ბიცობნარი ნიადაგის გათაბაშირიანება.

ი) სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი მექანიზაციისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის საფუძველზე, **საბჭოთა მეურნეობები** ნამდვილად გადაქცეულ იქნან მაღალნაყოფიერ, მაღალრენტაბელურ მეურნეობებად, რომელნიც იქნებიან სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციის მაგალითი, მისი მაღალი მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის მაგალითი. გადიდდეს პირუტყვის სულადობა საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობებში, **განსაკუთრებით** მარცვლეულ საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის მოწყობის გზით.

15. ყრილობა აწესებს რკინიგზის ტრანსპორტის **ტვირთბრუნვის** ზრდას 1937 წლის 355 ბილიარდ ტონა-კილომეტრიდან 510 მილიარდ ტონა-კილომეტრამდე 1942 წელს; სამდინარო ტრანსპორტისას — 33 მილიარდიდან 58 მილიარდ ტონა-კილომეტრამდე; საზღვაო ტრანსპორტისას —37 მილიარდ ტონა-კილომეტრიდან 51 მილიარდ ტონა-კილომეტრამდე. ტრანსპორტის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ტვირთბრუნვის დაგეგმვის მოწესრიგება იმ მიზნით, რომ ყოველმხრივ შემცირდეს შორეული სარკინიგზო გადაზიდვა, ლიკვიდირებულ იქნას შემხვედრი და არარაციონალური გადაზიდვა და შემდგომაც გადიდდეს წყლის ტრანსპორტისა და ავტოტრანსპორტის ხვედრითი წონა ჩვენი ქვეყნის ტვირთბრუნვაში.

გადიდდეს **შრომის ნაყოფიერება** მესამე ხუთწლედში 32 პროცენტით რკინიგზის ტრანსპორტზე და 38 პროცენტით წყლის ტრანსპორტზე. მოეწყოს დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების მექანიზაცია რკინიგზის, წყლისა და საავტომობილო ტრანსპორტზე.

16. ყრილობა რკინიგზის ტრანსპორტის ხაზით შემდეგ დავალებებს აწესებს მესამე ხუთწლედისათვის:

ა) გადიდდეს **ლოკომოტივების პარკი** 8.000 ერთეულით, მათ შორის: „ფდ“ სერიისა 1.500 ორთქლმავლით, საკონდენსაციო ორთქლმავლებისა — 4.200-ით, „ის“ სერიის სამგზავრო ორთქლმავლებისა — 1500-ით. საკონდენსაციო ორთქლმავლებმა უახლოეს წლებში წამყვანი ადგილი უნდა დაიკავონ ორთქლმავალთა სატვირთო პარკში.

ბ) გადიდდეს სატვირთო ვაგონების **სავაგონო პარკი** 225 ათასი ოთხღერძიანი ვაგონით, სამგზავრო ვაგონთა პარკი — 15.000 ვაგონით. ვოეწყოს ავტოგადაბმა მომქმედი სატვირთო პარკის 300 ათას ვაგონზე მოეწყოს ავტომუხრუჭები მომქმედი სატვირთო პარკის 200 ათას ვაგონზე. ვაფართოვდეს ორთქლმავალთა და ვაგონთა სარემონტო ბაზა, განსაკუთრებით ურალის, შუა აზიის, ციმბირისა და შორეულ-აღმოსავლეთის გზებზე. მომზადდეს საწარმოო ბაზა საკონდენსაციო ორთქლმავლების რემონტისათვის.

გ) უზრუნველყოფილ იქნას რკინიგზის ტრანსპორტისა და განსაკუთრებით რკინიგზის ლიანდაგის შემდგომი რეკონსტრუქცია. მესამე ხუთწლედში გაყვანილ და საექსპლოატაციოდ გადაცემულ იქნას 11 ათასი კილომეტრი რკინიგზა და დაგებულ იქნას მეორე ლიანდაგი 8 ათას კილომეტრ მანძილზე.

დ) **ელექტროფიცირებულ იქნას** 1.840 კილომეტრი რკინიგზა, პირველ რიგში მთის გზები, ხაზები, რომელთაც აქვთ ტვირთბრუნვის დაძაბული ოდენობა, აგრეთვე უდიდესი ავანდები ინტენსიური სატვირთო მოძრაობით. ყოველნაირად დაინერგოს ავტობლოკირება, სადისპეტჩერო სიგნალიზაცია და ავტოსტოპების გამოყენება.

ე) გამრავლდეს **რკინიგზის სადგურები** და ქვანები, პირველ რიგში იმ მიმართულებებით, რომლებიც აერთებენ დონბასს კრივოი როგთან, ლენინგრადთან და მოსკოვთან, ურალის აღმოსავლეთ რაიონებს, ჩრდილოეთის მხარესა და მურმანსკის ოლქს სსრ კავშირის ცენტრალურ ნაწილთან, დასავლეთ ციმბირს შუა აზიასთან, სამხრეთ-დასავლეთის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის გზებზე.

17. ყრილობა აწესებს შემდეგ დავალებებს წყლის, საავტომობილო და საჰაერო ტრანსპორტის ხაზით მესამე ხუთწლედისათვის:

ა) ლოკვიდირებულ იქნას **წყლის ტრანსპორტის** ჩამორჩენა, ამაღლდეს მისი როლი სახალხო მეურნეობის მომსახურებაში, განსაკუთრებით ძალსობრივი ტვირთების — ხე-ტყის, პურის, ქვანახშირისა და ნავთის გადაზიდვაში. გაუმჯობესდეს საზღვაო და სამდინარო ფლოტის ტექნიკური მდგომარეობა, შეივსოს იგი უფრო სრულყოფილი ტიპის გემებით, ფართოდ დაინერგოს სამდინარო გემებზე გაზგენერატორული დანადგარები. გაფართოვდეს გემსარემონტო ბაზისა და საზღვაო ნავსადგურთა მშენებლობა.

გატარდეს ფართო ღონისძიებანი არსებული წყლის გზების რეკონსტრუქციისა და წესრიგში მოყვანისათვის, რეკონსტრუირებულ იქნას ასტრახანი — გორკი — რიბინსკი — მოსკოვის გზა იმ ანგარიშით, რომ მესამე ხუთწლედის დასასრულს შეიქმნას ღრმაწყლიანი სატრანზიტო გზა ასტრახანიდან მოსკოვამდე და უზრუნველყოფილ იქნას სიღრმე ყველა ჩქერზე არა ნაკლებ 2,6 მეტრისა. გაიშალოს ვოლგა—ბალტიის წყლის გზის რეკონსტრუქცია. შიდასანაოსნო წყლის გზების საერთო სიგრძე ხუთი წლის განმავლობაში გადიდებულ იქნას 102 ათასი კილომეტრიდან 115 ათას კილომეტრამდე.

მესამე ხუთწლედში შემუშავებულ იქნას მდინარე ვოლგის, დონისა და დნეპრის კომპლექსური რეკონსტრუქციის სქემა, მომზადდეს ღონისძიებანი კასპიის ზღვის დონის შესანარჩუნებლად და დაწყებულ იქნას ვოლგა-დონის შესაერთის მშენებლობა.

მესამე ხუთწლედის დასასრულისათვის **ჩრდილოეთის საზღვაო გზა** გადაიქცეს წყლის ნორმალურად მომქმედ მაგისტრალად, რომელიც უზრუნველჰყოფს გეგმაშეწონილ კავშირს შორეულ აღმოსავლეთთან.

ბ) მოეწყოს **საავტომობილო ტრანსპორტის** რეგულარული მოძრაობა ავტომაგისტრალებზე, ტრაქტებზე და ქალაქების, რკინიგზის სადგურებისა და წყლის გზების ტვირთდაძაბულ მისასვლელებზე. უზრუნველყოფილ იქნას ავტოტრანსპორტისათვის საჭირო სარემონტო ბაზა. განვითარდეს გარაჟებისა და უგარაჟო სადგომების, მომსახურების სადგურებისა დ ავტომობილებისათვის საწვავის მისაწოდებელი სეტების მშენებლობა. ხუთი წლის განმავლობაში 4.6-ჯერ გადიდდეს ავტოგადაზიდვა. ყოველნაირად განვითარდეს ავტომისაბმელების წარმოება და გამოყენება სატვირთო ავტოტრანსპორტში. გაყვანილ და რეკონსტრუირებულ იქნას 210 ათასი კილომეტრი გზა, ამასთან გადაჭრით გადიდდეს, მეორე ხუთწლედთან შედარებით, გაუმჯობესებული გუდრონირებული, ასფალტბეტონის და ბეტონის გზების მშენებლობის ხვედრითი წონა.

ამასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს არსებული გზების შენახვას სათანადო წესრიგში, თავის დროზე განხორციელდეს მათი საჭირო მიმდინარე და აღდგენითი რემონტი.

გ) სამოქალაქო ავიაციის მუშაობა თავმოყრილ იქნას ძირითად სახელმწიფო ხაზებზე. გაუმჯობესდეს საჰაერო მაგისტრალების ტექნიკური მოწყობილობა, გაფართოვდეს და გაუმჯობესდეს მიწისზედა ნაგებობანი.

18. ყრილობა ხაზგასმით აღნიშნავს ყველა სახის **კავშირგაბმულობის,** განსაკუთრებით საქალაქთაშორისო კავშირგაბმულობის მეტი განვითარების აუცილებლობას.

დამთავრდეს პირდაპირი სატელეფონო კავშირის დამყარება მოსკოვსა და ყველა რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო ცენტრებს შორის, აგრეთვე სსრ კავშირის უდიდეს ცენტრებს შორის არსებულ რადიოტელეფონურ სისტემას დაემატოს კავშირგაბმულობის საკვანძო სისტემა. სავსებით დამთავრდეს რაიონული ცენტრების, სოფსაბჭოების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ტელეფონიზაცია. 2,3-ჯერ გადიდდეს მიმღები რადიოსატრანსლაციო წერტილების რაოდენობა. მთელ რიგ დიდ ქალაქებში აიგოს სატელევიზიო ცენტრები.

19. მესამე ხუთწლედში წარმოების ზრდის პროგრამის დავალებათა შესრულების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს კვალიფიციური **მუშათა კადრების, ტექნიკოსებისა და ინჟინრების** მომზადება, აგრეთვე მუშაობის ფართოდ გაშლა უახლესი ტექნიკისა და წარმოების ეკონიერული ორგანიზაციის დანერგვისათვის. ყრილობა საჭიროდ სთვლის მესამე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ იქნას:

ა) სკოლებისა და კურსების ფართო ქსელის გაშლა კვალიფიციური მუშებისა და სოციალისტური შრომის ოსტატების მოსამზადებლად და გადასამზადებლად.

ბ) სხვადასხვა სპეციალობის 1,4 მილიონი ტექნიკოსისა და უმაღლესი განათლების მქონე 600 ათასი სპეციალისტის გამოშვება.

III. მესამე ხუთწლედში ახალი მშენებლობისა და მისი განლაგების გეგმა

1. წარმოების ზრდის გეგმის შესაბამისად, საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობა მესამე ხუთწლედისათვის სახალხო მეურნეობის **კაპიტალურ სამუშაოთა** მოცულობას აწესებს 192 მილიარდი მანეთის რაოდენობით (მომქმედი საპარაჯთაღრიცხვო ფასებით), ნაცვლად 114.7 მილიარდი მანეთისა, რაც დაწესებული იყო მეორე ხუთწლედისათვის, აქედან:

ა) **მრეწველობაში**—111,9 მილიარდი მანეთი, მეორე ხუთწლედის 58,6 მილიარდი მანეთის ნაცვლად, აქედან: საწარმოო საშუალებათა დამამზადებელ მრეწველობაში — 93,9 მილიარდი მანეთი, მეორე ხუთწლედის 49,8 მილიარდი მანეთის ნაცვლად, ანუ 89 პროცენტი ზრდა; ფართო მოხმარების საშუალებათა დამამზადებელ მრეწველობაში — 18 მილიარდი მანეთი, მეორე ხუთწლედის 8,8 მილიარდი მანეთის ნაცვლად ანუ 105 პროცენტი ზრდა.

ბ) **ტრანსპორტში**—37,3 მილიარდი მანეთი, მეორე ხუთწლედის 20,7 მილიარდი მანეთის ნაცვლად ანუ 80 პროცენტი ზრდა.

გ) **სოფლის მეურნეობაში** — 11 მილიარდი მანეთი, აქედან: მტსებში—5,2 მილიარდი მანეთი, ირიგაციისა და მელიორაციისათვის — 1,3 მილიარდი მანეთი და, გარდა ამისა, საბჭოთა მეურნეობებში პირუტყვის სულადობის მატებისათვის — 2,5 მილიარდი მანეთი. მესამე ხუთწლედში კაპიტალური დაბანდება მარტო კოლმეურნეობათა ხაზით სოფლის მეურნეობაში 24 მილიარდ ჰანეთამდე შეადგენს.

2. ყრილობა, მეორე ხუთწლედის 103 მილიარდი მანეთის ნაცვლად, მესამე ხუთწლედისათვის ამტკიცებს 193 მილიარდი მანეთის ღირებულების (მომქმედ საპარაჯთაღრიცხვო ფასებით) ახალი და რეკონსტრუირებული საწარმოების **ამოშავებას.**

ყრილობა აღნიშნავს, რომ კაპიტალურ სამუშაოთა დაწესებული მოცულობა, ახალი და რეკონსტრუირებული საწარმოების ამოშავების პროგრამა უზრუნველჰყოფს სსრ კავშირის საწარმოო ტექნიკური ბაზის შემდგომს დიდ ზრდას და სომძლავრეთა საჭირო რეზერვების შექმნას სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს დარგებში. მესამე ხუთწლედში იზრდებიან **საწარმოო სიმძლავრენი:** ელექტროსადგურების დასაწყისის 8,1 მილიონი კილოვატიდან 17,2 მილიონ კილოვატამდე მესამე ხუთწლედში; ქვანახშირის მრეწველობაში — 1,8-ჯერ, რითაც მესამე ხუთწლედის დასასრულისათვის შახტების სიმძლავრე აყვანილ იქნება 335 მილიონ ტონა ქვანახშირამდე; შავ მეტალურგიაში (თუჯი) — 25 მილიონ ტონამდე; ფერად მეტალურგიაში (სპილენძი) — 2.4-ჯერ; ალუმინის მრეწველობაში—3.8-ჯერ; საავტომობილო მრეწველობაში — თითქმის ერთიორად; ბამბეულის მრეწველობაში (თითისტარები) — 1,5-ჯერ.

3. ყრილობა სცნობს, რომ მესამე ხუთწლედში სსრ კავშირის რაიონების მიზიდვით **ახალი მშენებლობის განლაგებაში** აუცილებელია ვიწელმძღვანელობდეთ იმით, რომ მრეწველობა მივუახლოოთ ნედლეულის წყაროებსა და მოხმარების რაიონებს იმ მიზნით, რათა აღმოიხვრილ იქნას არარაციონალური და მეტისმეტად შორი ტვირთბრუნვა, აგრეთვე იმ მიზნით, რომ უზრუნველვყოთ შემდგომი აღმავლობა სსრ კავშირის იმ რაიონებისა, რომლებიც წარსულში ეკონომიურად ჩამორჩენილი იყვნენ. ამის შესაბამისად მესამე ხუთწლიან გეგმით საჭიროა:

ა) საბჭოთა კავშირის **ძირითად ეკონომიურ რაიონებში** უზრუნველყოფილ იქნას მეურნეობის კომპლექსური განვითარება და მოეწყოს სათბობის მოპოვება და წარმოება იესეი სახის პროდუქტებისა, როგორიც არის ცემენტი, აღებასტრი, ქიმიური სასუქები, მინა, მსუბუქი და კვების მრეწველობის მასობრივი ნაწარმი იმ რაოდენობით, რაც უზრუნველჰყოფს ამ რაიონების სსრ კავშირის **აღმოსავლეთ და შორეულ-აღმოსავლეთის** რაიონებში. ყოველნაირად იქნას განგრძობილი მეტალურგიული ბაზის განვითარება ამ რაიონებში, რისთვისაც ბრძოლების საერთო რაოდენობიდან მათი სამი მეოთხედი მესამე ხუთწლედში აგებულ იქნას ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში.

შეიქმნას სსრ კავშირის აღმოსავლეთ ნაწილში საფეიქრო მრეწველობის ახალი დიდი საწარმოო ბაზა, სადაც გადამუშავდება შუა აზიის ბამბა. გათვალისწინებულ იქნას შორეულ-აღმოსავლეთში სწრაფი ტემპები ქვანახშირის ამოღების განვითარებისა, აგრეთვე ცემენტის წარმოებისა ისეთი ოდენობით. რაც მთლიანად უზრუნველჰყოფს შორეულ-აღმოსავლეთის მოთხოვნილებებს.

ბ) ქვეყნის ისეთ **ეკონომიურ კერებში,** როგორიც არის აღმოსავლეთის რაიონები, ურალი და პოვოლჟე, მესამე ხუთწლედში შეიქმნას საწარმო-დუბლიორები მანქანათმშენებლობის, ნავთის გადამუშავებისა და ქიმიის მთელ რიგ დარგებში, რათა თავიდან იქნას აცილებული შემთხვევითობა საწარმო უნიკუმებიდან ზოგიერთი სამრეწველო პროდუქტის მომარაგებაში.

გ) გათვალისწინებულ იქნას კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობის უფრო სწრაფი ზრდა და ახალ საწარმოთა მშენებლობა სსრ კავშირის **აღმოსავლეთ და შორეულ-აღმოსავლეთის** რაიონებში. ყოველნაირად იქნას განგრძობილი მეტალურგიული ბაზის განვითარება ამ რაიონებში, რისთვისაც ბრძოლების საერთო რაოდენობიდან მათი სამი მეოთხედი მესამე ხუთწლედში აგებულ იქნას ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში.

შეიქმნას სსრ კავშირის აღმოსავლეთ ნაწილში საფეიქრო მრეწველობის ახალი დიდი საწარმოო ბაზა, სადაც გადამუშავდება შუა აზიის ბამბა. გათვალისწინებულ იქნას შორეულ-აღმოსავლეთში სწრაფი ტემპები ქვანახშირის ამოღების განვითარებისა, აგრეთვე ცემენტის წარმოებისა ისეთი ოდენობით. რაც მთლიანად უზრუნველჰყოფს შორეულ-აღმოსავლეთის მოთხოვნილებებს.

დ) უზრუნველყოფილ იქნას ნაციონალური **რესპუბლიკებისა და ოლქების** შემდგომი სამეურნეო და კულტურული აღმავლობა მესამე ხუთწლედში საწარმოო ძალთა განლაგების ძირითადი ამოცანების შესაბამისად.

4. ყრილობას აუცილებლად მიაჩნია მესამე ხუთწლედში მთავარი ყურადღება მიექცეს შემდეგ უმნიშვნელოვანეს მშენებლობებს:

ა) **მანქანათმშენებლობაში,** მესამე ხუთწლედისათვის დაწესებული წარმოების პროგრამის შესაბამისად, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება მრეწველობის აღმავლობის საერთო ტემპს, ფართოდ გაიშალოს ახალი ქარხნების მშენებლობა და დაჩქარდეს მათი ამოშავება, განსაკუთრებით დაზგათმშენებელი და ენერგეტიკული მოწყობილობის ქარხნებისა. დამთავრდეს მშენებლობა მძიმე დაზგათმშენებლობის სამი ქარხნისა, საფრეზერო დაზგების ქარხნისა გორკში, დაზგა-ავტომატებისა კიევში და გაიშალოს მშენებლობა საშუალო სიმძლავრის მთელი რიგი ახალი დაზგათმშენებელი ქარხნებისა—საბუნი, კბილსაჭრელი, სიგრძივ-სარანდი დაზგების, საკარუსელო, შიგაჩარხვის დაზგებისა და დაზგა-ავტომატების წარმოებისათვის, აგრეთვე სამშენებლო-საწყობი მოწყობილობის ქარხნებისა. მესამე ხუთწლედის განმავლობაში აშენდეს და ამოშავდეს ორთქლის ტურბინების 4 ქარხანა, მათ შორის ქარხნები სევრდლოვსკის, უფის, ნოვოსიბირსკისა და კალუგის რაიონებში. ამას გარდა, დაწყებულ იქნას ორთქლის ტურბინების ქარხნის მშენებლობა ნოვოჩერკასკის რაიონში და ჰიდროტურბინების ქარხნისა—კუიბიშევის რაიონში. ორთქლის ტურბინების ქარხნების შესაბამისად აშენდეს და ამოშავდეს ქვაბმშენებლობის და დაშხმარე ენერგეტიკული მოწყობილობის ქარხნები, მათ შორის საქვაბე ქარხანა ორსკში. მოეწყოს ქარხრავების მასობრივი წარმოება. დამთავრდეს გორკისა და მოსკოვის ავტოქარხნების მშენებლობა. აშენდეს მცირეტონაჟიანი ავტომობილების ქარხანა, მთელი რიგი ახალი ავტომობილების ქარხნები (მათ შორის შორეულ აღმოსავლეთში) და გაიშალოს სატვირთო ავტომანქანების ახალი ქარხნების მშენებლობა ციმბირში, აგრეთვე ავტომრეწველობის მთელი რიგი მომიჯნავე საწარმოებისა და ავტოსარემონტო ბაზებისა. შეიქმნას აღმოსავლეთში სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოების და ტრაქტორების ამწყობი და სარემონტო ბაზა. აშენდეს საფეიქრო მანქანების ქარხნები კურსკსა და დასავლეთ ციმბირში. დამთავრდეს სარატოვის ბურთულ-საკისრის ქარხნის მშენებლობა და გაიშალოს ბურთულ-და გორგოლა - საკისარის ორი ახალი ქარხნის მშენებლობა.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVIII ყრილობა

ერთიანი ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმა (1938—1942 წ. წ.)

სკპ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის რეზოლუცია ამხ. ვ. მოლოტოვის მოხსენების გამო

გურთა მშენებლობის ხარჯზე, აგრეთვე ჰიდროელექტროსადგურთა მშენებლობის გაძლიერება. გაიშალოს მშენებლობა მსოფლიოში უდიდესი ნავებობისა — კუიბიშევის ორი ჰიდროსადგურისა 3,4 მილიონი კილოვატი საერთო სიმძლავრით, რომელიც ერთსადაიმავე დროს სწყვეტს ზავოლჟიეში მტკიცე მოსავლის მისაღწევად გვალვიანი მიწების მორწყვის პრობლემას და ნაოსნობის საქმეს ვოლგასა და კამაზე. დაიწყოს აგრეთვე მშენებლობა კალუგის ჰიდროელსადგურისა მდინარე ოკაზე. დამთავრდეს მშენებლობა და აწუშავდეს შემდეგი ჰიდროსადგურები: უგლიჩის, რიბინსკის, ჩარჩიკის ორი, კანაკირის, სვირის — 2, ხრამის, ნივის — 3, სოხუმისა და სხვ. დაწყებულ იქნას ახალი ჰიდროსადგურების მშენებლობა: ვერხნეკამის, მინგიჩაურის, უსტ-კამენოგორსკის, გიუმუშის, აგრეთვე ფართოდ გაიშალოს პატარა ადგილობრივი ჰიდროსადგურების მშენებლობა, მათ შორის ურალის რაიონებში, ტურის, უფის, ჩუსოვაიას, ბელაიას, მიასის და სხვ. მდინარეებზე, აგრეთვე ჩრდილო დონეცზე.

სათბობის ეკონომიის მიზნით, ფართოდ განვითარდეს პატარა ქარელექტროსადგურების მშენებლობა. გათვალისწინებულ იქნას 102 რაიონული თბოელექტროსადგურის მშენებლობა და ამუშავება: კურაზის, ნესვეტაევის, რამდენიმე თბოელექტროცენტრალისა მოსკოვსა და ლენინგრადში, ჩელიაბინსკის თბოელექტროცენტრალის, სუმგაიტის, კომსომოლსკის, კიევის, ნიკოლაევის, კიროვო-ჩეპეცის, სიზრანის, ორსკის, ყარავანდის, კრასნოიარსკის, ხაბაროვსკის, კუვასაისკის, კრასნოდარისა და სხვ. აშენდეს ივანოვის რაიონში ტორფით მომუშავე ახალი თბოელექტროსადგური საფეიქრო მრეწველობისათვის.

ყოველნაირად განვითარდეს მაღალვოლტოვანი ელექტროქსელებისა და ქვესადგურების მშენებლობა.

მესამე ხუთწლედის განმავლობაში ელექტრომშენებლობის ხაზით სიმძლავრეთა საერთო მატება განისაზღვროს 9 მილიონი კილოვატით და უზრუნველყოფილ იქნას სამრეწველო რაიონებში მუდმივი ენერგეტიკული რეზერვის შექმნა 10-15 პროცენტის სიმძლავრით.

ბ) **ქვანახშირის მრეწველობაში** გაიშალოს შახტების მშენებლობა როგორც ქვანახშირის, ისე მურა ნახშირის ამოღებისათვის. ათვისებულ იქნას ქვანახშირის ამოღების ახალი რაიონები, განსაკუთრებით ურალზე, თათრეთისა და ბაშკირეთის ასს რესპუბლიკებში, აღმოსავლეთ ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთში, ყაზახეთის სს რესპუბლიკაში, უკრაინაში, ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის სს რესპუბლიკებში. აგებულ იქნას, უმთავრესად, საშუალო და მცირე სიმძლავრის შახტები და ყოველნაირად შემცირდეს და დაჩქარდეს მშენებლობის ვადები. სულ ხუთი წლის განმავლობაში აგებულ იქნას 170 მილიონი ტონა ქვანახშირის საერთო სიმძლავრის ახალი შახტები 160 მილიონი ტონის ამუშავებით.

ნავთის მრეწველობაში უზრუნველყოფილ იქნას 15 მილიონი ტონა ნავთის გადამამუშავებელი ქარხნების ახალ სიმძლავრეთა და, გარდა ამისა, 4,5 მილიონი ტონა სიმძლავრის კრეკინგ-დანადგარების ამუშავება. მესამე ხუთწლედში გადამწყვეტ ამოცანად ჩაითვალოს ნავთის კიდევ ერთი მძლავრი ბაზის შექმნა ვოლგასა და ურალს შუა რაიონში და აგებულ იქნას იქ ნავთის გადამამუშავებელი ქარხნები 6 მილიონი ტონა სიმძლავრით. უზრუნველყოფილ იქნას გეოლოგიურ-საძიებელ და საკვლევ სამუშაოთა გაშლა ნავთის მოპოვების ახალ რაიონებში: ვოლგასა და ურალს შუა, ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთში, უკრაინაში, შუა აზიასა და ყაზახეთის სს რესპუბლიკაში.

ტორფისა და ფიქალების მრეწველობაში უზრუნველყოფილ იქნას კაპიტალურ სამუშაოთა საჭირო ზრდა. გათვალისწინებულ იქნას ტორფის ხელოვნურად გამაუწყლოებელი ქარხნების მშენებლობა, რაც საფუძველს უყრის ტორფის მოპოვების სეზონურობის ლიკვიდაციას. განხორციელდეს კოჭისს ორი-სამი ქარხნის მშენებლობა და გათვალისწინებულ იქნას აგრეთვე ქიმიური პროდუქტების გამომუშავება ამ ქარხნებში.

დ) შავ მეტალურგიაში დამთავრდეს მაგნიტოგორსკის კომბინატის მშენებლობა 6 ბრძმედისა და ორი ბლუმინგის შემადგენლობით, ნიჟნეტაგილის და პეტროვსკო-ზაბაიკალიეს ქარხნებისა, ამურფოლადმშენისა, ზაპოროჟეცფოლადის, აზოვფოლადის, კრივოიროგის, ნოვოსიბირსკის, ნოვოურალის და ნიკოპოლის მილის ქარხნებისა. დაწყებულ იქნას მშენებლობა ახალი მეტალურგიული ქარხნებისა სამხრეთ ურალზე (ხალილოვისა და ბაკალსკის მადნებზე) და აღმოსავლეთ ციმბირში, შედუღებული მილების ქარხნისა — ურალზე, ერთი მილსაგლინი ქარხნისა — ციმბირში და მილჩამოსხმელი ქარხნისა[1] — ცენტრში. ლითონის ნამტვრევისა და ნარჩენების გამოყენების საფუძველზე გაიშალოს გადამკეთებელი პატარა ქარხნების მშენებლობა ადგილობრივი საჭიროებისათვის შუა აზიასა და ამიერ-კავკასიის რაიონებში. იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს მადნეულის მომზადება გამოსადნობად, აშენდეს სულ მცირე 17 სააგლომერაციო ღენტი. ყველა მომქმედ ქარხანაში დამთავრდეს შრომატევადი სამუშაოების მექანიზაცია და ფართოდ დაინერგოს წარმოების ავტომატიზაცია. ნაგლინის ხარისხის გასაუმჯობესებლად დამატებით იქრას მოწყობილი ყველა ქარხნის საგლინავი საამქროები საჭირო მოსაპირკეთებელი მოწყობილობით. სულ მესამე ხუთწლედში აშენდეს 20 ბრძმედი და აღდგენილ იქნას ხის ნახშირის სამი ბრძმედი ურალზე.

დაწყებულ იქნას შახტების მშენებლობა კურსკის მაგნიტური ანომალიის რაიონში, როგორც ცენტრის შავი მეტალურგიის დამატებითი ბაზისა და გატარდეს მოსამზადებელი ღონისძიებანი მეტალურგიული ქარხნის მშენებლობისათვის კურსკის მაგნიტური ანომალიის რაიონში.

დამთავრდეს ატასუისა და კარაკაის საბადოების სამრეწველო გამოკვლევა.

ე) **ფერად მეტალურგიაში:** დამთავრდეს ბალხაშისპირა სპილენძსადნობი კომბინატის, შუა ურალისა და ბლიავინსკის კომბინატების მშენებლობა. გაიშალოს ჯეზკაზგანის. ალმაზიკის სპილენძსადნობი კომბინატებისა და ავრეთვე ტყვიისა და თუთიის ქარხნების მშენებლობა ალტაის მხარეში. ამუშავდეს ურალის ალუმინის კომბინატი, ალუმინის ქარხნები კანდალაკშაში და კუზბასში და დაწყებულ იქნას ალუმინის სხვა ქარხნების მშენებლობა. ამუშავდეს ტიხვინის ხიდანის ქარხანა, სამხრეთ-ურალისა და ჩრდილოეთის ნიკელის კომბინატები. დაწყებულ იქნას მთელ რიგ ახალ საწარმოთა მშენებლობა ტყვიის, თუთიის, კალის, ვოლფრამისა და მოლიბდენის საწარმოებლად. აგებულ იქნას ფერადი ლითონის საგლინავი და ბიმეტალის, აგრეთვე ალუმინისა და მაგნიუმის შენადნობთა გადასამუშავებელი ქარხნები.

ვ) — **ქიმიურ მრეწველობაში** გაიშალოს გოგორმჟავის ახალი ქარხნების მშენებლობა, უმთავრესად ფერადი მეტალურგიისა და ელექტროსადგურების წარმავალი გაზების გამოყენების ბაზაზე, ტუკის კომბინატების, სოდის ქარხნების, სინთეზური კაუჩუკის ქარხნებისა და ბინის ქარხნებისა ისე, რომ ამუშავდეს სინთეზური კაუჩუკის 13-15 ქარხანა, კორდის 9 ქარხანა და შინის 16 ქარხანა, რომლებიც განკუთვნილ იქნებიან ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. აშენდეს ხელოვნური თხიერი სათბობი მასალის 2 ქარხანა, 2 რეგენერატორული ქარხანა, 15 რეგენერატორული საამქრო შინების ქარხნებთან და აზბესტურ ნაკეთობათა 2-3 ქარხანა.

შეიქმნას საწარმოო ბაზა, რომელიც სავსებით უზრუნველჰყოფს კაუჩუკოვან მცენარეთა გადამუშავებას.

ზ) — შესწყდეს **ცემენტის** შეზიდვა სსრ კავშირის ევროპული ნაწილიდან აღმოსავლეთ რაიონებსა და შუა აზიის რესპუბლიკებში, რისთვისაც აგებულ იქნას ცემენტის ახალი ქარხნები საშუალო და მცირე სიმძლავრისა სულ 4,8 მილიონი ტონისა, მათ შორის შორეულ აღმოსავლეთის რაიონებში, ციმბირში, ყაზახეთის სსრ-ში, შუა აზიის რესპუბლიკებში და ურალზე.

თ) — **ბამბეულის** სამუშაოები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ ნედლეულის სამრეწველო მარაგით უკვე ამუშავებულ და მესამე ხუთწლედში ასამუშავებელ საწარმოებს და რომლებიც შეჰქმნიან ახალი სამრეწველო მარაგების შემდეგი წლებისათვის გარდამავალ რეზერვებს საბჭოთა კავშირის ყველა რაიონში.

ი) — **სატყეო მრეწველობაში** დამთავრდეს მშენებლობა და ამუშავდეს სოლიკამსკის, კონდოპოჟის, კამსკის, მარიის, კრასნოიარსკის, სოლომბალსკის, არხანგელსკის, ლგოვსკის, კომსომოლსკის, კოტლასის ცელულოზ-ქაღალდის კომბინატები და საგაზეთო ქაღალდის ფაბრიკა კიროვის რაიონში. გაიშალოს ცელულოზ-ქაღალდის, სატყეო-ქიმიური, ფანერის, ხის დამმუშავებელი ახალი საწარმოებისა და მერქნის ჰიდროლიზის ქარხნების მშენებლობა. გათვალისწინებულ იქნას სატყეო დამზადებათა სწრაფი განვითარება საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის ჩრდილოეთ და ჩრდილო - დასავლეთ რაიონებში, ურალზე და შორეულ აღმოსავლეთში. გაძლიერდეს ხე-ტყის სახერხი და ხის დამმუშავებელი მრეწველობა ევროპის ჩრდილოეთში, ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში. შესწყდეს ხე-ტყის შემოზიდვა ციმბირიდან სსრ კავშირის ევროპულ ნაწილში.

კ) — **მსუბუქ მრეწველობაში** ამუშავდეს ბამბეულის ახალი ფაბრიკები ბარნაულში, ნოვოსიბირსკსა და კუზბასში და აგრეთვე განხორციელდეს ჰატარა სართავი ფაბრიკების მშენებლობა ძველს საფეიქრო რაიონებში რთვასა და ქსოვას შორის დისპროპორციის აღმოსაფხვრელად, ამუშავდეს ტაშკენტის ბამბეულის კომბინატის მეორე რიგი, ლენინაკანის სართავი ფაბრიკა, კიევისა და სიმფეროპოლის მატყლეულის კომბინატები, კალინინის რეზინის ლანჩისა და ყაზანის ხელოვნური ტყავის ქარხნები. გაიშალოს ახალი საფეიქრო ფაბრიკების მშენებლობა შუა აზიის რესპუბლიკებში, დასავლეთ ციმბირსა და ყაზახეთის სსრ-ში და აგრეთვე მთელი რიგი ახალი სატრიკოტაჟო და წინდების ფაბრიკების, სელის მცირე კომბინატების, ტყავეულობის ქარხნების, ფეხსაცმლისა და აბრეშუმის ფაბრიკებისა და შუშეული ტარის საწარმოთა მშენებლობა.

ლ) — **კვების მრეწველობაში** მთლიანად დამთავრდეს მშენებლობა და ამუშავდეს ხორკომბინატები ორსკში, ენგელსში, ულანუდეში, ირკუტსკში, ხაბაროვსკში, სვერდლოვსკში, ივანოვოში, ნალჩიკში, კუიბიშევში, ღნეპროპეტროვსკში, ვოროშილოვგრადში, აშხაბადსა და სტალინაბადში; შაქრის ქარხნები ელან-კოლენოში, ჟირდევკაში, სოვეტსკში (კურსკის ოლქი), ალმა-ატაში, ნოვო-ტროიცკში, გნივანში (ვინიცკის ოლქი), შპოლში (კიევის ოლქი), და შაქრის ერთი ქარხანა სომხეთის სსრ-ში.

აგებულ იქნას სპირტის მთელი რიგი ახალი ქარხნები, ზეთსახდელი ქარხნები, შედედებული და ფხვნილი რძის ქარხნები, საკონდიტრო და ჩაის ფაბრიკები. გაიშალოს საშუალო სიმძლავრის ახალი ხორკომბინატების, შაქრის ქარხნების, პურის ქარხნებისა და მაკიერების, თამბაქოს ფაბრიკებისა და საპნის ქარხნების მშენებლობა.

ხ) — **თევზის მრეწველობაში** გადიდდეს თევზსაჭერი საზღვაო ფლოტი და დამთავრდეს თევზის კომბინატების მშენებლობა კომსომოლსკში, ხაბაროვსკში, მოსკოვსა და მუინაკში; მაცივრების მშენებლობა — ბალხაშში, მანგისტაუში, ახტარაბში, სოვგავანში, კამჩატკის პეტროპავლოვსკში და 20 მცირე მაცივრისა შორეულ აღმოსავლეთის მხარეში; გემსაშენთა აგება მურმანსკში, ამურის ნიკოლაევსკში და კამჩატკის პეტროპავლოვსკში. გათვალისწინებულ იქნას კამჩატკის, ოხოტსკის და აიანსკის რაიონების თევზების უფრო სწრაფი ტემპები როგორც თევზის მრეწველობის სახალხო კომისარიატის, ისე სამხარეო და საოლქო ორგანიზაციების მიერ.

რ) — **ადგილობრივ მრეწველობასა** და სარეწაო კოოპერაციაში გაიშალოს მცირე საწარმოთა მშენებლობა ადგილობრივი ნედლეულისა მასალისა და ადგილობრივი სახმობი მასალის ბაზაზე.

წ) **საქალაქო მშენებლობაში** უზრუნველყოფილ იქნას მუშაობის

დასასრული

გაშლა სამინაო მშენებლობისა და ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების კეთილმოწყობისათვის. გაუვანილ იქნას ახალი წყალსადენები 50 ქალაქში, კანალიზაცია — 45 ქალაქში, ტრამვაი — 8 ქალაქში.

განვითარდეს საქალაქო მეურნეობის გაზიფიკაცია. გადიდდეს ტრამვაის ახალი ვაგონების რიცხვი 2.900 ერთეულით, უზრუნველყოფილ იქნას უახლესი კონსტრუქციის 4-ღერძიანი ვაგონების გამოშვება მოსკოვისათვის, ლენინგრადისათვის, კიევისათვის და სსრ კავშირის სხვა დიდი ქალაქებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საქალაქო და საქალაქთაშორისო ავტოტრანსპორტის განვითარებას, ავტობუსების რიცხვი გადიდდეს 27 ათასი ერთეულით და მაქსიმალურად განვითარდეს ტაქსის, სამგზავრო და სატვირთო მანქანების გამოყენება. გაფართოვდეს მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში და სხვა დიდ ქალაქებში სატროლეიბუსო მოძრაობა და ამის შესაბამისად გადიდდეს ტროლეიბუსების წარმოება, კერძოდ, მოეწყოს ორსართულიანი ტროლეიბუსების მასობრივი გამოშვება.

უზრუნველყოფილ იქნას მოსკოვისა და ლენინგრადის შემდგომი განვითარება და რეკონსტრუქცია მიღებული გეგმების შესაბამისად. დამთავრდეს მეტროს მესამე რიგის მშენებლობა მოსკოვში.

მესამე ხუთწლედის დასასრულისათვის დამთავრდეს ძირითადი საავტომშენებლო სამუშაოები საბჭოების სასახლის ასაგებად.

შ) — **სოფლის მეურნეობის** დარგში განხორციელდეს 1500 მტს-ის მშენებლობა, როგორც ახლის, ისე ძველი მტს-ების დაწვრილერთეულების ხარჯზე, უზრუნველყოფილ იქნას საჭირო სარემონტო ბაზა ტრაქტორების, ყომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებისათვის. გაიშალოს საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის შენობათა აგება იმ რაოდენობით, რაც საჭიროა პირუტყვის მოვლის სრული უზრუნველყოფისათვის.

ირიგაციისა და მელიორაციის ხაზით. დამთავრდეს ყველა დაწყებული სამუშაო დიდი საირიგაციო და ამოშრობითი მშენებლობის დარგში: დაებული 30,8 მილიარდი მანეთის ნაცვლად, — ზრდა 1,7-ჯერ და უფრო მეტად.

დ) **კოლმეურნეთა შემოსავლის** მნიშვნელოვანი გადიდება კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების ზრდისა, ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის აღმავლობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების შედეგად.

ე) ფართო ღონისძიებათა გატარება იმისათვის, რომ სერიოზულად წავიწიოთ წინ ისტორიული ამოცანის — **სსრ კავშირის მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური დონის** საინჟინერო-ტექნიკური შრომის მუშაკთა დონემდე ამაღლების განხორციელებაში.

ვ) საყოველთაო **სამუშაო სწავლების** განხორციელება ქალაქად და საყოველთაო შვიდწლიანი სამუშაო სწავლების დამთავრება სოფლად და ყველა ნაციონალურ რესპუბლიკაში; ამასთან, უნდა გაფართოვდეს ბავშვთა ჩაბმა ათწლიან სწავლებაში იმ ანგარიშით, რომ ქალაქად და მუშათა დაბებში დაწყებითი და საშუალო სკოლების მოსწავლეთა რაოდენობა გადიდდეს 8,6-დან 12,4 მილიონამდე, ხოლო სასოფლო ადგილებში — 20,8-დან 27,7 მილიონამდე.

ზ) მოსწავლეთა კონტინგენტი უმაღლეს სასწავლებლებსა და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში აყვანილ იქნას 650 ათას კაცამდე იმ ანგარიშით, რომ მთავარი ყურადღება უახლოეს წლებში მიექცეს უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლებას.

თ) **კინო-თეატრების, კლუბების, ბიბლიოთეკების,** კულტურის სახლებისა და სამკითხველოების **ქსელის** გადიდება და ამასთანავე სტაციონარული და სხვა ხმოვანი კინოდანადგარების ფართო ორგანიზაცია და 6-ჯერ გადიდება.

ი) მუშაობის მნიშვნელოვნად გაძლიერება მშრომელთა **ჯანმრთელობის დაცვის,** საავადმყოფოების საშუალებით დახმარების გაუმჯობესების, სასანიტარო - პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გფართოების, მშობიარეთათვის სამშობიარო დახმარების აღმოჩენისა და საბავშვო საავადმყოფოთა გაფართოების დარგში, შრომის დაცვის ამაღლებისა, მუშათა დასვენებისა და ფიზკულტურის ორგანიზაციის დარგში; ამასთან, სახელმწიფო ხარჯები ჯანმრთელობის დაცვისათვის გადიდდეს 10,3 მილიარდი მანეთიდან 1937 წელს 16,5 მილიარდ მანეთამდე 1942 წელს. ადგილების რიცხვი მუდმივ ბაგებსა და საბავშვო ბაღებში გადიდდეს 4,2 მილიონამდე 1942 წელს, ნაცვლად 1,8 მილიონისა 1937 წელს.

კ) **საბინაო მშენებლობის** გაძლიერება ქალაქებსა და მუშათა დაბებში, მესამე ხუთწლედის განმავლობაში 35 მილიონი ქვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემით.

2. მშრომელთა ცხოვრების მატერიალური დონის ამაღლების მიზნით უზრუნველყოფილ იქნას მესამე ხუთწლედში საბჭოთა კულტურული ვაჭრობის ყოველმხრივი განვითარება და ამის შესაბამისად დაწესდეს:

ა) სახელმწიფო - კოოპერატიული **საქონელბრუნვის** მოცულობის გადიდება 1942 წელს 206 მილიარდ მანეთამდე 1937 წლის 126 მილიარდი მანეთის ნაცვლად; ამასთან, ერთი-ორად გადიდდეს სასადილოების, რესტორნების, კაფეებისა და ბუფეტების ბრუნვა.

ბ) საცალო სახელმწიფო კოოპერატიული **სავაჭრო ქსელის** ზრდა 38 პროცენტით; ამასთან, გაუმჯობესდეს მთელი სავაჭრო საქმე (სამაცივრო მეურნეობა, სავაჭრო ბაზებისა და საწყობების მშენებლობა, საჭონლის მიტანა და შეზიდვა); განსაკუთრებით განვითარებულ იქნას სწრაფმზარდ სასოფლო-სამეურნეო რაიონებში დუქნებისა და მაღაზიების ქსელი, სადაც ისეთი საჭიროული უნდა იყოს, რომელიც მომსახურებას უწევს გლეხთა მომწიფებულ საყოფაცხოვრებო, სარემონტო და სამშენებლო საჭიროებებს.

3. ყრილობა განსაზღვრავს მესამე ხუთწლედის განმავლობაში **სახალხო შემოსავლის** ზრდას 1,8-ჯერ და ამასთან დაკავშირებით ადასტურებს იმის სრულ შესაძლებლობას, რომ უზრუნველყოფილ იქნას მოსახლეობისა და სახელმწიფოს მზარდი მოთხოვნილების როგორც ხალხის მოხმარების საჭიროებანი, ისე სახელმწიფო საჭიროებანიც სახალხო მეურნეობის განვითარებაში, თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებასა და საჭირო სახელმწიფო რეზერვების შექმნაში.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგის უდიდესი აღმავლობა მოითხოვს მთელი მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და აღრიცხვის ორგანიზაციის დარგში. გეგმიანი მუშაობის გარდაქმნის ცენტრალურ ამოცანას წარმოადგენს გეგმების შესრულების შემოწმების ორგანიზაცია იმ ანგარიშით, რომ თავიდან აცილებულ იქნას დისპროპორციების წარმოშობა მეურნეობაში, გამოვლინებულ იქნას ახალი რეზერვები ვიმების შესასრულებლად და გეგმების ფაქტიური შესრულების შედეგების შესაბამისად შეტანილ იქნას კორექტივები ცალკეულ დარგებსა და რაიონებში.

ყრილობა ადასტურებს, რომ აუცილებლად საჭიროა საბიუჯეტო-საკრედიტო მუშაობის გაუმჯობესება, სამეურნეო ანგარიშის შემდგომი განმტკიცება, უყაირათობასთან ბრძოლის გაძლიერება, მძიმე ინდუსტრიისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების რენტაბელობის დონის ამაღლება, საბჭოთა მანეთის განმტკიცება სოციალისტური წარმოების საფუძველზე, საქონელბრუნვის გაძლიერებული განვითარებისა და ხალხის ცხოვრების მატერიალური დონის საერთო აღმავლობის საფუძველზე.

○

მესამე ხუთწლიანი გეგმით დასმული ამოცანების აუცილებლად შესრულების მიზნით სკკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობა ვალდებულად სთვლის:

ა) სამეურნეო ხელმძღვანელობის ცოცხალ ოპერატიულობას და საქმიანობას, ხელმძღვანელთა მუშაობის მიმართვას კადრების სწორი შერჩევისაკენ, პარტიისა და მთავრობის მიერ დაწესებულ დავალებათა შესრულების ყოველდღიური ფაქტიური შემოწმებისაკენ;

ბ) მუშების, ოსტატებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების ხელფასის სწორ ორგანიზაციას, შრომის ნაყოფიერების ზრდის ჯეროვან მატერიალურ წახალისებით;

გ) სოციალისტური შეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის გაშლას და საწარმოებსა და დაწესებულებებში ყველა მშრომელის მტკიცე შრომის დისციპლინისა და შრომის მაღალი ნაყოფიერების უზრუნველყოფას.

საკოლმეურნეო მშენებლობის ამოცანები მდგომარეობს სასოფლო-სამეურნეო არტელის შემდგომს ყოველმხრივ ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებაში, კოლმეურნეობის საზოგადოებრივი საკუთრების განვითარებასა და განმტკიცებაში. საკოლმეურნეო მეცხოველეობის ფერმების, საზოგადოებრივ ნაგებობათა, საზოგადოებრივ სადაზღვევო ფონდებისა და საკოლმეურნეო საკუთრების სხვა სახეთა განვითარებაში, რაც წარმოადგენს სოფლის მეურნეობის და კოლმეურნე გლეხის ცხოვრების მატერიალურ-კულტურული დონის შემდგომი ამაღლების საფუძველს. ამის შესაბამისად საჭიროა გაძლიერდეს ბრძოლა სასოფლო - სამეურნეო არტელის წესდების დარღვევებთან და არ იქნას დაშვებული უკანონო გაფართოება ცალკეულ კოლმეურნეთა საკარმიდამო მეურნეობისა, საკარმიდამო მიწის ნაკვეთებისა და პირუტყვისა, რაც იწვევს კოლმეურნეობის ინტერესების შელახვას, ხელს უშლის საკოლმეურნეო დისციპლინის განმტკიცებას. საჭიროა საკოლმეურნეო დისციპლინის შემდგომი განმტკიცება და კოლმეურნეთა მთელს მასაში სათანადო აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება, შრომის ნაყოფიერების გადიდება და უკეთ მომუშავე კოლმეურნეთა წახალისება, აგრეთვე ფართოდ გადახვლა რგოლების ორგანიზაციაზე კოლმეურნეობებში. დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისა, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და კოლმეურნეობაში თვითეულ კოლმეურნეზე შემოსავლიანობის გადიდების მიზნით, ისევე როგორც მრეწველობის შემდგომი განვითარებისა, ჩვენს ქვეყანაში საჭონლის გადიდებისა და კოლმეურნეთაგან სამრეწველო საწარმოთათვის მუშათა კადრების მიწოდების მიზნით, — საჭიროა მიღწეულ იქნას, რათა კოლმეურნეობები სისტემატურად უშვებდნენ სამუშაოდ სამრეწველო საწარმოებში კოლმეურნეებს და უწინარეს ყოვლისა კი იმათ, რომლებსაც ნაკლებად იყენებენ სამუშაოზე კოლმეურნეობაში, აქვთ მცირე რაოდენობის შრომადღეები და ამიტომ ტვირთად აწევიან კოლმეურნეობას.

მესამე ხუთწლედის ამოცანების განსახორციელებლად საჭიროა სავსებით ლიკვიდირებულ იქნას ფაშიზმისა და უცხოეთის კაპიტალის ჯაშუშ-ტროცკისტ-ბუხარინელი აგენტების კონტრრევოლუციური მავნებლობის შედეგები, გაძლიერდეს ბოლშევიკური სიფხიზლე კომუნიზმის მშენებლობისათვის წარმოებულ მთელს მუშაობაში და მუდამ გვახსოვდეს პარტიის მითითება იმის შესახებ, რომ, სანამ გარეშე კაპიტალისტური გარემოცვა არსებობს, უცხოეთის სახელმწიფოთა დაზვერვები შემოჰგზავნიან ჩვენში მავნებლებს, დივერსანტებს, ჯაშუშებსა და მკვლელებს, რათა გაგვიფუჭონ საქმე, ჩაიდინონ სისაძაგლე და შეაჯსუსტონ ჩვენი ქვეყანა, რათა ხელი შეუშალონ კომუნიზმის ზრდას სსრ კავშირში. მესამე ხუთწლიანი გეგმის დიადი ამოცანების განხორციელება იმდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული მუშების, გლეხებისა და საბჭოთა ინტელიგენციის სასიცოცხლო ინტერესებთან, რომ მისი განხორციელების უზრუნველყოფა დამოკიდებულია, უწინარეს ყოვლისა, ჩვენზე — კომუნისტებსა და არაპარტიულ ბოლშევიკებზე—ხელმძღვანელებზე და, განსაკუთრებით კი, იმაზე, თუ რამდენად შეგვწევს უნარი მოვაწესრიგოთ შრომა და ავამაღლოთ მშრომელთა კომუნისტური აღზრდა. ყველა ჩვენგანს, ხელმძღვანელებსა და რიგითს მუშებს, მოსამსახურეებსა და კოლმეურნეებს მოგვეთხოვება, უწინარეს ყოვლისა, შეგნებული მოპყრობა თავისი მოვალეობისადმი, პატიოსანი შრომა და დახმარება ჩამორჩენილებისადმი იმისათვის, რომ მესამე ხუთწლიანმა გეგმამ გაიმარჯვოს, რომ საბჭოთა კავშირმა ახალი გიგანტური ნაბიჯი გადასდგას კომუნიზმის სრული გამარჯვების გზაზე დღევანდელ პირობებში, როდესაც სსრ კავშირში განუყოფლად ბატონობენ მეურნეობის სოციალისტური ფორმები, სოციალისტური საკუთრება, შრომის სოციალისტური ორგანიზაცია, როდესაც ჩვენი საშის წარმატებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა კომუნისტურ შეგნებულობას მუშაობაში ჩვენი სახელმწიფოს, ხალხისა და ყველა მშრომელის სასარგებლოდ, — განტკიცდება იზრდება როლი საბჭოთა ინტელიგენციისა, რომელსაც შეუძლია ბოლშევიკურად იმუშაოს, ბოლშევიკურად იბრძოლოს მშრომელთა კულტურულობისა და კომუნისტური შეგნებულობის ამაღლებისათვის. ახლა, სსრ კავშირში სოციალისტური საზოგადოების პოლიტიკური და ეკონომიური პოზიციების საბოლოოდ განმტკიცების შემდეგ, საქმეს სწყვეტენ კადრები, რომელებმაც აითვისეს წარმოების ტექნიკა, საქმეს სწყვეტენ საბჭოთა კულტურული ძალები, რომლებიც სათავეში უდგანან მშრომელ მასებს მათს დიად ბრძოლაში კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის.

კაპიტალისტურ ქვეყნებში საზოგადოებას სულ უფროდაუფრო ღრმად ღრღნის ახალი მსოფლიო ეკონომიური კრიზისი, რომელიც ქუჩაში ერეკება მილიონობით ახალ უმუშევრებს, აძლიერებს სილატაკესა და სასოწარკვეთილებას კაპიტალის მიერ დამონებულ მშრომელ მასებს შორის. კაპიტალიზმის ბანაკში ტონს იძლევიან ფაშისტური ქვეყნები მათი შინაური სისხლიანი ტერორითა და საგარეო იმპერიალისტური აგრესიით, რამაც უკვე გამოიწვია მეორე იმპერიალისტური ომი, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ევროპისა და აზიის მთელი რიგი ქვეყნები და რომელიც კიდევ უფრო ფართო გავრცელებით იმუქრება. ყველაფერი ეს კაპიტალიზმის საერთო, განუკურნებელი კრიზისის გაძლიერების, კაპიტალიზმის პარაზიტული ლპობისა და მისი კრახის მოახლოების უდავო ნიშანია. მით უფრო პასუხსაგებია ჩვენი მოვალეობანი, პირველი სოციალისტური საზოგადოების მშენებელთა მოვალეობანი, საზოგადოებისა, რომელმაც უკვე მოასწრო საბოლოოდ დამდგარიყო პოლიტიკურად და ეკონომიურად თავის საკუთარ ფეხზე, რომელიც სავსე ჯანღონით და თავისი გამარჯვების რწმენით, რომელიც ყველა ქვეყნის მშრომელებს უნერგავს სიმხნევესა და რწმენას თავისი მოახლოებული განთავისუფლებისადმი. მესამე ხუთწლიანი გეგმის შესრულება საუკეთესო მოწმობა იქნება კომუნიზმის ყოვლისმძლე ძალისა მის ისტორიულ შეჯიბრებაში კაპიტალიზმთან.

სკკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობა ყველა ბოლშევიკისაგან და კომუნიზმის საქმისადმი ერთგული ყველა მშენებლისაგან მოითხოვს ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რათა კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმონ ლენინ-სტალინის პარტიის დიადი დროშის ქვეშ მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია მესამე ხუთწლიანი გეგმის გამარჯვებისათვის საბრძოლველად.

IV. მშრომელთა მაჟერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლების გეგმა მესამე ხუთწლედში

პირველი და მეორე ხუთწლედების შესრულება ნიშნავდა არა მარტო სახალხო მეურნეობის უდიდეს აღმავლობასა და სოციალისტურ გარდაქმნას საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებასთან ერთად, არამედ სსრ კავშირის ხალხთა მატერიალურ-კულტურული დონის დიდ აღმავლობასაც.

მესამე ხუთწლედმა უნდა უზრუნველჰყოს კიდევ უფრო მეტი დაკმაყოფილება მშრომელთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებების საჭონლეზე, პროდუქტებზე, საცხოვრებელ ბინებზე, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების მხრივ. მესამე ხუთწლედის შესრულება, გარდა ამისა, უზრუნველჰყოფს ახალი უდიდესი ნაბიჯის გადადგმას წინ მძლავრი მატერიალური ბაზის შექმნის მხრივ სსრ კავშირის სოციალისტური საზოგადოების საწარმოო ძალთა კეთილდღეობისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის. ახლა საქმე უმუშევრობის მოსპობასა და სოფლად ილიტაკის ლიკვიდაციას როდი ეხება, — ეს ჩვენ უკვე დავძლიეთ სავსებით და საბოლოოდ. ახლა ამოცანა მდგომარეობს მშრომელთა ისეთი კეთილდღეობისა და კულტურულობის ამაღლების შექმნაში, რომლებიც შეეფერებიან საბჭოთა ხალხის გაზრდილ მოთხოვნილებებს, რომლებიც მიუღწეველია კაპიტალიზმის ყველაზე მდიდარი ქვეყნებისათვის და რომლებიც მოასწავებენ სოციალიზმის ძალთა ნამდვილი აყვავების, ახალი, სოციალისტური კულტურის აყვავების დასაწყისს.

სკკ. კ. პ. (ბ) XVIII